2009 წელი, 26 ნოემბერი – 2 დეკემბერი

ფასი 90 თეთრი

ახალი განათლება

№36 (470) გამოდის 1998 წლიდან

„ქართული ქორეოგრაფია“ რამიშვილისეული ნიუანსებით

პირველად საქართველოში ქართული ქორეოგრაფიისაადმი მიძღვნილი გამოფენა ნინო რამიშვილის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ექსპოზიციით – „ქართული ქორეოგრაფია“ საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში გაიხსნა. ქართული ქორეოგრაფიის ამსახველი უნიკალური მასალა დაინტერესებულ ადამიანებს ხელოვნების სასახლეში 22 დეკემბრამდე შეუძლიათ დაათვალიერონ. ნინო რამიშვილისათვის წამყვანი დიზაინერების მიერ შეკერილი, ძვირფასი ქვებით მორთული ექსკლუზიური კოსტიუმები, ნინოს დაღესტნური ოქრო-ვერცხლის ქამარი, პირადი ნივთები, მისი ცნობილი ქუდები, სუხიშვილ-რამიშვილის მოღვაწეობის ამსახველი უნიკალური ფოტომასალა, აფიშები, სოლიკო ვირსალაძის მიერ შესრულებული საცეკვაო კოსტიუმების ესკიზები – ეს ყველაფერი დარბაზში დამონტაჟებულ მონიტორზე მიმდინარე ფილმის ფონზე, სადაც „მსოფლიო ტაშს უკრავს“ ქართული ქორეოგრაფიის ჯადოქრებს, მართლაც საოცარი სანახაობაა. სანახაობა, რომელიც ქართული ცეკვის ხელოვნებას შეგაგრძნობინებთ არა მხოლოდ სცენითა და ცეკვით, არამედ იმ დეტალებითა და ნიუანსებით, რომელთა ერთობლიობამ „ქართული ქორეოგრაფია“ უკვდავებად აქცია.

გვერდი 9

„დიალოგი+“-ის ხელმომწერთა საყურადღებოდ!

2009-2010 სასწავლო წელს გაზეთ „დიალოგი+“-ის ხელმოწერებს და გავრცელებას ახორციელებს გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქცია

2009-2010 სასწავლო წელს „დიალოგი +“ -ის 7 ნომრის (დეკემბერ-ივნისი) გამოწერის მსურველმა უნდა მიმართოს სკოლას, რადგან სკოლებიდან მოხდება მისაღები კომპლექტების რაოდენობის შესაბამისად გამოწერის თანხის გადარიცხვა გაზეთ „ახალი განათლების“ სპეციალურ ანგარიშზე.

გადმორიცხვის დროს, აუცილებელია, გარკვევით მიეთითოს ქალაქის, დაბის ან სოფლის დასახელება.

აუცილებელია, ხელმოწერები განხორციელდეს პირველ დეკემბრამდე, რათა ყველა ხელმომწერმა მიიღოს „დიალოგი+“-ის 7 ნომერი. „დიალოგი +“-ის საცალო ღირებულებაა **1 ლარი,** გამოწერის თანხა შეადგენს **7 ლარს.**

გაზეთის გამოწერა შეუძლიათ: **რესურსცენტრებს, სკოლებს, კერძო პირებს** და **ორგანიზაციებს.**

გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქციის მისამართია:
თბილისი, ტეტელაშვილის 3, ტელ: 95 80 23, 890 958023; 877 132283
ელფოსტა: axaliganatleba@gmail.com, ganatleba@mail.ru

გაზეთის ხელმოწერის თანხა შეგიძლიათ გადარიცხოთ შემდეგ საბანკო ანგარიშზე:

მიმღები	შპს „ახალი განათლება“
მიმღები ბანკი	სს „ბაზისბანკი“
ბანკის კოდი	220101956
ანგარიშის ნომერი	30236563
საიდენტიფიკაციო კოდი	202058735

ამ ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს ნებისმიერი ბანკიდან.

პატივისცემით, ”დიალოგი + ”- ის რედაქცია

THE CONVENTION ON THE RIGHTS OF THE CHILD

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-20 წლისთავს საქართველო პარლამენტში ბავშვის უფლებათა საბჭოს შექმნით აღნიშნავს

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტში შეიქმნება ბავშვის უფლებათა დაცვის ცენტრი. ეს არის აღნიშნული საპარლამენტო კომიტეტისა და გაეროს ბავშვთა ფონდის (იუნისეფის) ერთობლივი ინიციატივა. ინფორმაცია ბავშვის უფლებათა ცენტრის დაარსების შესახებ გაკეთდა თბილისში სასტუმრო „რედისონ ივერიაში“ გამართულ ბავშვის უფლებათა კონვენციის 20 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის, სახალხო დამცველის აპარატის, იუნისეფისა და საქართველოში ევროკომისიის წარმომადგენლობის მიერ იყო ორგანიზებული.

ბავშვის უფლებათა საბჭოს მთავარი მიზანია ბავშვის უფლებათა კონვენციის, მათ შორის, გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის რეკომენდაციების განხორციელებაზე მონიტორინგი. საბჭო, ასევე, შეიმუშავებს საკანონმდებლო ინიციატივებსა და პოლიტიკის შესახებ რეკომენდაციებს, ბავშვის უფლებათა კონვენციისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

„იუნისეფი მიესალმება საქართველოს პარლამენტის ინიციატივას ბავშვის უფლებათა საბჭოს შექმნის შესახებ. ეს საშუალებას იძლევა, შეიქმნას ბავშვის უფლებათა მონიტორინგის ქმედითი საკოორდინაციო მექანიზმი, რაც გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ერთ-ერთი უმთავრესი რეკომენდაციაა, – განაცხადა **ბენჯამინ პერკსმა**, იუნისეფის წარმომადგენლის მოადგილემ, – *ვაფასებთ პარლამენტის ძალისხმევას საქართველოში ბავშვის უფლებათა დაცვის გაუმჯობესებისათვის და ვფიქრობთ, ეს ინიციატიავა მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია ამ მიმართულებით.”*

ბავშვის უფლებათა კონვენცია კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე უფრო აღიარებული შეთანხმებაა, ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებებს შორის. კონვენციამ შეცვალა მიდგომა და დამოკიდებულება ბავშვების მიმართ. მისი რატიფიცირებით 193-მა ქვეყანამ კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვალდებულება აიღო. კონვენცია აყალიბებს ბავშვის უნივერსალურ უფლებებს, როგორიცაა: ინდივიდუალობის, სახელის და მოქალაქეობის უფლება; განათლების და უმაღლესი სტანდარტების სამედიცინო მომსახურების მიღების უფლება; ექსპლუატაციისა და ძალადობისაგან დაცვის უფლება.

ბოლო ოცი წლის განმავლობაში საქართველომ კონვენციის განხორციელების საქმეში მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია: შეიმჩნევა ჩვილ და 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილობის მაჩვენებლის კლება; შემოღებულია უფასო სამედიცინო დაზღვევა სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის; გაიზარდა იმუნიზაციის მასშტაბი. აგრეთვე, უდიდეს პროგრესს წარმოადგენს სახელმწიფოს მუდმივი ძალისხმევა, ქვეყანაში დამკვიდრებული პრაქტიკა შესაბამისობაში მოიყვანოს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ საერთაშორისო სტანდარტებთან.

უმნიშვნელოვანესი წინგადადგმული ნაბიჯია ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის მიმდინარე რეფორმა, რომლის შედეგადაც ბავშვთა სახლებიდან 4000 ბავშვი დაუბრუნდა საკუთარ ან მიმღებ ოჯახს. საგრძნობლად გაუმჯობესდა დაბადების რეგისტრაციაც, განსაკუთრებით აზერბაიჯანულ ეთნიკურ უმცირესობაში.

აღსანიშნავია აგრეთვე, სასკოლო სისტემის დეცენტრალიზაცია, ვაუჩერული დაფინანსებისა და ერთიანი ეროვნული გამოცდების შემოღება ისევე, როგორც სკოლამდელ, დაწყებით და საშუალო სასწავლო დაწესებულებებში ბავშვების ჩარიცხვის მაჩვენებლის ზრდა.

წარმატების მაგალითია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრაციის მიმდინარე რეფორმა, რაც აღნიშნული სისტემის საერთაშორისო ნორმებსა და სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას ისახავს მიზნად.

მიუხედავად პროგრესისა, საქართველოში კვლავ არსებობს გამოწვევები, რომელიც ასევე ხაზგასმულია გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის დასკვნაში საქართველოს სახელმწიფოს მიერ წარდგენილი ანგარიშის შესახებ.

სახელდობრ, სასწრაფო ზომებია მისაღები ნეონატალური სიკვდილობისა და ნაადრევი მშობიარობის მაღალი მაჩვენებლის შესამცირებლად, განსაკუთრებით ეთნიკურ უმცირესობებში; საჭიროა ბავშვთა დაცვის კომპლექსური მექანიზმების შემუშავება, რათა ყველა ბავშვი დაცული იყოს ძალადობისგან; რომ ბავშვები ფინანსური დახმარების, სოციალური მომსახურეობებისა და ინსტიტუციებში შედინების კონტროლის ეფექტური მექანიზმის უქონლობის გამო არ მოხვდნენ ინსტიტუციებში და არსებობდეს კომპლექსური სახელმწიფო პოლიტიკა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების სოციალური ინკლუზიისათვის. აქტიური ზომებია მისაღები, არსებული სიღარიბის ფონზე, ბავშვთა საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად.

„იუნისეფი კვლავაც გააგრძელებს საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობას ამ საკითხების მოგვარების მიზნით, რათა მაქსიმალურად იყოს დაცული ბავშვთა ინტერესები, – ამბობს ბენჯამინ პერკსი, – *ჩვენი ერთობლივი პასუხისმგებლობაა, რომ ყველა ბავშვს ჰქონდეს არსებობის, განვითარების, დაცულობისა და მონაწილეობის უფლება.”*

ბავშვის უფლებათა კონვენციის 20 წლისთავის აღსანიშნავად მსოფლიოში 160-ზე მეტი ღონისძიება იმართება. იუნისეფმა საქართველოში, ევროკომისიის წარმომადგენლობასთან და სხვა პარტნიორებთან ერთად, აღნიშნულ თარიღს მთელი რიგი ღონისძიებები მიუძღვნა – არასამთავრობო ორგანიზაციების თაოსნობით გაიმართა სამოქალაქო ინტერესების დაცვის კამპანიები ბავშვთა სიღარიბისა და ბავშვთა უფლებების შესახებ; ჩატარდა ტრენინგები სამოქალაქო ინტერესების დაცვის შესახებ არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის; გაიმართა შეხვედრები რეგიონული მედიის წარმომადგენლებთან ბავშვის უფლებებთან დაკავშირებით; შეიქმნა ბავშვის უფლებათა კონვენციის საბავშვო ვერსია, რომელშიც ბავშვებისათვის გასაგები ენით განმარტებული და ილუსტრირებულია ბავშვთა უფლებები; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ევროპული სწავლების ინსტიტუტის სტუდენტებს წაეკითხათ ლექციები ბავშვთა უფლებებზე; ჩატარდა სემინარები და დებატები ბავშვთა მონაწილეობით.

გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ კონვენციის მიღებიდან 20 წლის აღსანიშნავად, იუნისეფმა ნიუ-იორკში გამოაქვეყნა *მსოფლიოს ბავშვთა მდგომარეობის* ანგარიშის სპეციალური გამოცემა, რომელიც ეხება ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელებაში მიღწეულ პროგრესსა და იმ გამოწვევებს, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობს ამ მიმართულებით.

საინტერესო კვირეულები არლის საჯარო სკოლაში

ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ არლის საჯარო სკოლაში (დირექტორი – **მარო ჩხიტუნიძე**) ორი პროექტი – „ოდა მასწავლებელს“ და „იაკობმა მისცა ფრთები ქართველს ცაში ასაფრენად“ – განხორციელდა დაწყებითი კლასების კათედრის გამგის, **ინგა კაჭკაჭაშვილის** მიერ, რომელიც მრავალი საინტერესო ინიციატივისა თუ ღონისძიების ავტორია. დამზადდა საინფორმაციო ბუკლეტები, ჩატარდა საინტერესო კვირეული, რომელიც მასწავლებლის დღეს მიეძღვნა.

კვირეულის პირველ დღეს მოეწყო ნახატების კონკურსი „ჩემი მასწავლებელი“. კონკურსზე წარმოდგენილი ორმოცამდე ნამუშევარი შთაგონებული იყო მასწავლებლისადმი პატივისცემითა და სიყვარულით. ბევრი მათგანი განსაკუთრებული ნიჭიერებით იყო შესრულებული.

– *„ხშირად მითქვამს , რომ ჩვენს ბავშვებს ღვთით აქვთ მომადლებული ნიჭი და ჩვენ, მასწავლებლები, ხელს ვუწყობთ ამ ნიჭის განვითარებას. ეს ამ კონკურსმაც კიდევ ერთხელ დაადასტურა. ნახატების ფორმისა და ფერების შერჩევა საინტერესოს ხდიდა თითოეულ მათგანს, ამიტომაც გაძნელდა საუკეთესოების გამოვლენა“* – აღნიშნა ინგა კაჭკაჭაშვილმა.

ჟიურიმ საუკეთესოთა შორის კონკურსში გამარჯვებული ნახატების ავტორები დაასახელა: **ბექა კაჭკაჭაშვილი** (Iკლასი), **ლევან აფრიამაშვილი** (Iკლასი), **ანა აკოფაშვილი** (IIკლასი), **ნიკა ბათმანაშვილი** (IIკლასი), **ანა აფრიამაშვილი** (IIIკლასი), **აჩიკო მსხვილიძე** (IIIკლასი), **ნოდარ მათოშვილი** (IVკლასი).

გამარჯვებულებს სკოლის დირექტორმა სიგელები გადასცა.

ამქვეყნად ყველას ჰყავს მოძღვარი, მასწავლებელი და დამრიგებელი, გულის მესაიდუმლე თუ ტკივილთა მესალბუნე, მასწავლებელსაც, როგორც დედას, უნდა მოვეფეროთ. სწორედ ამაზე იყო გათვლილი კვირეულის მეორე დღე, დაწყებითი კლასის მოსწავლეებმა გამოუშვეს კედლის გაზეთის სპეციალური ნომერი: “გილოცავთ, მასწავლებელო!”, რომელშიც საკუთარი ლექსები, თხზულებები, ინტერვიუები გამოაქვეყნეს.

მესამე დღეს ჩატარდა ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“. მოაზროვნეების წინააღმდეგ თამაშობდა 12 მასწავლებელი. თამაში ძალზე საინტერესოდ წარიმართა და დამთავრდა ანგარიშით 7:5, მოაზროვნეების სასარგებლოდ. თამაშის ბოლოს **გ. ვარდიძის** გამარჯვებულ გუნდს გადაეცა სიგელები და „ბუ“(ინტელექტუალური თამაშის სიმბოლო), რომელიც ხელოვნების მასწავლებელმა, **გულო ჯანაშვილმა** დაამზადა.

კვირეულის მეოთხე დღეს დაგეგმილი იყო დაწყებითი კლასების კათედრის სხდომა. ქალბატონმა ინგამ საინტერესო თემა შეარჩია: „მასწავლებელი – შემოქმედი, პროფესიონალი, კოლეგა და ავტორიტეტი“. სხდომის ბოლოს კი ჩაატარა კვლევა: „როგორი მასწავლებელი ვარ?“, რაც მეტად საინტერესოდ წარიმართა. კათედრის წევრებმა გამოთქვეს მოსაზრებები საუკეთესო მასწავლებლის პორტრეტისათვის.

მეხუთე დღისთვის დაგეგმილი იყო „მხიარული სტარტები“ – „სოფლა სკოლის წინააღმდეგ“, „მასწავლებელი მასწავლებლის წინააღმდეგ“ სოფელ უდის N2 საჯარო სკოლაში. ერთმანეთს შეხვდნენ უდის №2 საჯარო სკოლის გუნდი „მართვე“ და არლის საჯარო სკოლის გუნდი „აისი“. საკმაოდ დაძაბული თამაში მასპინძლების სასარგებლოდ დასრულდა. პროექტის ხელმძღვანელმა ორივე გუნდს სამახსოვრო სიგელები გადასცა.

მეექვსე დღეს პედაგოგები მიწვეული იყვნენ ინტეგრირებულ (ქართული, მუსიკა, ხელოვნება) გაკვეთილზე III კლასში, რომელიც ინგა კაჭკაჭაშვილმა ჩაატარა. გაკვეთილის თემა იყო „მასწავლებელი და მოსწავლე“.

– *„კლასში შექმნილი იყო არაჩვეულებრივი სასწავლო გარემო, მრავალფეროვანი და გონივრულად მომზადებული თვალსაჩინოების ფართო სპექტრი. თითოეული მათგანის დროულად ჩართვამ გაკვეთილის პროცესში, ერთი მომენტიდან მეორეზე უშუალო გადასვლამ, ყველა ინსტრუმენტისა და მექანიზმის მაღალ პროფესიულ დონეზე გამოყენებამ შექმნა ის აუცილებელი საფუძველი , რაც ესოდენ აუცილებელია მაღალხარისხოვანი თანამედროვე გაკვეთილის ჩატარებისათვის. დიდი მადლობა ქალბატონ ინგას ძალზე საინტერესო პროექტისა და III კლასში პატარა სასწავლო დღესასწაულის მოწყობისათვის“* – აღნიშნა **ვაჟა თათეშვილმა**, დირექტორის მოადგილემ სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის დარგში.

– *„დღევანდელ გაკვეთილზე ნათლად დავინახეთ, რომ ერთია იყო პედაგოგი და მეორე – შემოქმედი. ეს იყო მაღალ დონეზე ჩატარებული გაკვეთილი, სადაც მასწავლებელი და მოსწავლე ბუნებრივად იყო შერწყმული ერთმანეთთან. საინტერესო იყო სიტუაციური ამოცანაც, სადაც მშობელი, მასწავლებელი და მოსწავლე ერთად ვეძებდით სიტუაციიდან გამოსვლას“* – აღნიშნა მშობელმა **თეა ფეიქრიშვილმა**.

კვირეულის ბოლო აკორდი იყო მხატვრულ-მუსიკალური კომპოზიცია თემაზე: „ჭეშმარიტი მოძღვარი“. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ III კლასის (ხელმძღვანელი – **ინგა კაჭკაჭაშვილი**) და IV კლასის (ხელმძღვანელი – **ლალი კაჭკაჭაშვილი**) მოსწავლეები. პატარებმა დიდი სიყვარული და სითბო გამოავლინეს მასწავლებლების მიმართ. ღონისძიებას უფრო მეტ ხიბლს მატებდა მუსიკალური გაფორმება (პედაგოგი **მარიკა რეხვიაშვილი**). ბავშვები კითხულობდნენ გამომეტყველებით, მხატვრულად, რაც ხაზს უსვამდა პედაგოგების ნაღვაწს. ღონისძიების ბოლოს სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა მარო ჩხიტუნიძემ ყველა პედაგოგს მიულოცა ეს მნიშვნელოვანი დღე და მადლობა გადაუხადა ქალბატონ ინგას საინტერესო პროექტის და სანახაობრივად საინტერესო კვირეულის ჩატარებისთვის.

ოქტომბერი დიდი ქართველი პედაგოგის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის თვე იყო. საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში ტარდებოდა დიდი მამულიშვილის დაბადებიდან 169 წლისთავისადმი მიძღვნილი მრავალფეროვანი ღონისძიებები. ასე იყო ჩვენს სკოლაშიც, სადაც განხორციელდა მეორე პროექტი – „იაკობმა მისცა ქართველს ფრთები ცაში ასაფრენად“.

კვირეულის პირველ დღეს ბავშვებმა მიიღეს ინფორმაცია იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. მეორე დღეს გამოცხადდა კონკურსი – „რა ვიცით იაკობის შესახებ?“.

მესამე და მეოთხე დღეს მოეწყო კონფერენცია თემატიკით: „ბუნება ი. გოგებაშვილის შემოქმედებაში“ – მომხსენებელი **ნონა ჩილინგარაშვილი**, „დედაშვილური სიყვარული დედაენის მიხედვით“ – **ლალი კაჭკაჭაშვილი**, „იაკობი და ბუნების კარი“ – **გულო ჯანაშვილი**, „დედაენა – დიდაქტიკა და გარდათქმული ბიბლია“ – **ქეთინო აფრიამაშვილი**, „დედაენა და იაკობი“ – **ინგა კაჭკაჭაშვილი**, „იაკობ გოგებაშვილი და ხალხური სიტყვიერება“ – **ეთერ კაჭკაჭაშვილი**. მეხუთე დღეს გამოუშვეს კედლის გაზეთი რუბრიკით – „თანამედროვე პედაგოგთა თვალით დანახული იაკობ გოგებაშვილი“, სადაც გამოქვეყნდა ამონარიდები მასწავლებელთა მოხსენებებიდან.

მეექვსე დღეს კონკურსში “რა ვიცით იაკობის შესახებ?“ სკოლის დირექტორმა, მარო ჩხიტუნიძემ გადასცა სიგელები მოსწავლეებს: **გიორგი ვარდიძეს** (IV კლასი), **თაკო ბათმანაშვილს** (IIIკლასი), **ანა აფრიამაშვილს** (IIIკლასი), **აჩიკო მსხვილიძეს** (IIIკლასი), **თემურ აფრიამაშვილს** (IIIკლასი), **გურამ აფრიამაშვილს** (IIIკლასი), **თემურ ფეიქრიშვილს** (IIIკლასი).

იაკობ გოგებაშვილის იუბილესადმი მიძღვნილი დღეები დახურეს III კლასის მოსწავლეებმა, რომლებმაც „გააცოცხლეს“ იაკობის გმირები ნაწარმოებებიდან: „თხა და გიგო“, „ვანო და ჩიტი“, „მეფე ერეკლე და ინგილო ქალი“, „ცრუ“ და სხვ.

კვირეულმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ უკვდავია იაკობი და მისი დედაენა, როგორც ქართველი კაცის ცნობიერების განუყოფელი ნაწილი.

ნინო კაჭკაჭაშვილი
არლის საჯარო სკოლის მასწავლებელი

ორი ქვეყნის ურთიერთობის განმტკიცებისკენ მიმართული კურსები

ორი კვირის განმავლობაში, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ირანიდან ჩამოსული ლექტორები, ქალბატონები: **მანიჟე გალედარი** და **აზიტა ჰამედანი** კითხულობდნენ სასაუბრო სპარსულისა და სპარსული ლიტერატურის კურსებს, მსურველთათვის დასწრება თავისუფალი იყო. კურსები ტარდებოდა დღეში ორჯერ – როგორც სტუდენტებისთვის, ასევე პროფესორ-მასწავლებლებისთვის.

აზიტა ჰამედანი: *„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ირანისტიკის ფაკულტეტის სტუდენტები სწავლების სამივე საფეხურს გადიან, არიან ირანისტი პედაგოგები. სწორედ ირანისტიკის განყოფილების ინიციატივით და ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს დახმარებით, კერძოდ საელჩოს კულტურული წარმომადგენლობის მხარდაჭერით, მოხდა შეთანხმება. რადგან კათედრაზე, ძირითადად, ქალები არიან წარმოდგენილი, ქალი პედაგოგები შეგვარჩიეს და ამ შეთანხმების საფუძველზე ჩამოვედით ორკვირიანი კურსების ჩასატარებლად“.*

ქალბატონ აზიტა ჰამედანს დოქტორის ხარისხი აქვს მოპოვებული თეირანის უნივერსიტეტში, საქართველოში ის უნივერსიტეტ „ფაიამე ნურის“ წარმოადგენს. ქალბატონი მანიჟე გალედარის სპეციალობაა სპარსული ენის სწავლება უცხოელებისთვის. ყაზვინის იმამ ხომეინის სახელობის საერთაშორისო უნივერსიტეტში ასწავლის და სპარსული ენის რამდენიმე სახელმძღვანელოს ავტორია. მათგან ერთ-ერთი სპეციალური სახელმძღვანელოა სპარული ენის შემსწავლელთათვის, ენის სმენითი აღქმის განსამტკიცებლად. კიდევ ერთი – სპარსული ენის გრამატიკა და მართლწერა. სახელმძღვანელოები უცხოელებისთვისაა (არასპარსულენოვანთათვის) განკუთვნილი და გამოიყენება თეირანის დეჰხოდას საერთაშორისო უნივერსიტეტში. ამ უმაღლეს სასწავლებელში, ძირითადად, უცხოელები ეუფლებიან სპარსულ ენას. ამავე სახელმძღვანელოთი ასწავლიან უცხოელებს ყაზვინის უნივერსიტეტში.



ქალბატონი გალედანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასაუბრო ენის მიმართულებით მუშაობდა – როგორც მოსმენით ნაწილზე, ასევე, წერასა და ზეპირმეტყველებაზე, ცალკეული სიტყვებისა და ფრაზების დამუშავებაზე, ანუ ყველაფერზე, რაც სასაუბრო სპარსულის შესწავლაში მოიაზრება. ქალბატონმა ჰამედანმა კი ლიტერატურის კურსი წაიკითხა, კერძოდ ლიტერატურული საკითხები, ასევე მართლწერის, პუნქტუაციისა და სტილის, სპარსული სტილისტიკა მიმოიხილა, ლიტერატურაზე აქცენტით.

მანიჟე გალედარი: *მართალია, კურსები პროფესორ-მასწავლებლებისთვისაც იყო განსაზღვრული, მაგრამ მათ ამის საჭიროება არ ჰქონდათ. ეს უფრო მეგობრული ურთიერთობა იყო და მეტი აქცენტი გადატანილი იყო სტუდენტებზე.*

ცხადია, განსხვავებული იყო სტუდენტებისა და პროფესორების დონე, თემატიკა ერთი იყო, მაგრამ დონე განსხვავებული.

მსგავსი პრაქტიკა ირანში დიდი ხანია არსებობს. არა ერთი პროფესორი მიდის საზღვარგარეთ ლექციების წასაკითხად. ჩვენთვის პირადად, ეს კურსები პირველი იყო.

აზიტა ჰამედანი: *ორი კვირა დიდი დრო არ არის. წინასწარ შევადგინეთ გეგმა ამ ორკვირიანი მუშაობისთის, რომ არაფერი გამოგვრჩენოდა მხედველობიდან. ვფიქრობ, ის, რაც დავგეგმეთ, მიღწეულია. ჩვენი ძირითადი მიზანი ხომ მაინც ის იყო, მეტი ხალისი და მონდომება გაგვეღვიძებინა სტუდენტებში. ეს უფრო ჩვენი ორი ქვეყნის ურთიერთობის განმტკიცებისკენ მიმართული კურსები იყო, რაც მიღწეულია. მათში, ნამდვილად, სპარსული ენის შესწავლის მეტი ხალისი და მონდომება გაჩნდა.*

ძალიან კმაყოფილები ვართ, არაჩვეულებრივი ახალგაზრდები არიან. მათი მომზადების დონე, ცხადია, მათი პედაგოგების დამსახურებაა. გონიერები, დაინტერესებულები, მომავალზე ორიენტირებული არიან, რაც მისასალმებელია.

დატვირთული გრაფიკის მიუხედავად, ირანელმა ქალბატონებმა, თბილისის გარდა, მოინახულეს გორი, მცხეთა და ქუთაისი.

აზიტა ჰამედანი: *საქართველოში პირველად ვართ. ვისარგებლეთ შემთხვევით და მხოლოდ კურსების ჩატარებით არ შემოვიფარგლეთ. საბედნიეროდ ისე მოხდა, რომ აქაური სტუდენტების, პროფესორების და ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს კულტურული წარმომადგენლობის დახმარებით, მოვახერხეთ დაგვეთვალიერებინა არაჩვეულებრივი ძეგლები, რომლითაც მდიდარია საქართველო. აღფრთოვანებულები ვართ საქართველოთი. ვისურვებდი სხვა ირანელებსაც მიეცეთ საშუალება, ჩამოვიდნენ და გაეცნონ ამ მშვენიერ ქვეყანას. პირადად მე, სურვილი გამიჩნდა, საქართველოსთან დაკავშირებულ საკითხებზე ვიმუშაო.*

მანიჟე გალედანი: *დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოში ისევ ჩამოვალთ. იმდენად ლამაზია საქართველო, დასანანი იქნება ირანელებმა აქაურობა რომ არ ნახონ. ძალიან დიდი მადლობა ქართველ ხალხს, იმ სტუმართმოყვარეობისა და სითბოსთვის, რასაც სტუმრების მიმართ გამოხატავენ. მოხარულები ვართ, რომ ჩვენ ეს ყველაფერი ვნახეთ და, რასაკვირველია, სხვებსაც მოვუყვებით.*

ესაუბრა ***ლალი თვალაგეიშვილი***
საუბარი თარგმნა ***თეა შურლაიამ***

ქართველი და უკრაინელი ხალხების მეგობრობის სიმბოლო „ლესიაობა“

ცნობილი უკრაინელი პოეტი ლესია უკრაინკა, ცხოვრებითა და შემოქმედებითი ბიოგრაფიით, მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართულ მიწასთან, სადაც ცხოვრების ბოლო ათი წელი გაატარა და მძიმე სენით შეპყრობილი სურამში გარდაიცვალა.

სურამის მე-3 საჯარო სკოლა, 1965 წლიდან, ლესია უკრაინკას სახელს ატარებს და უკრაინელებსაც ხშირად მასპინძლობს.

რამდენიმე ათეული წელია, ყოველი წლის შემოდგომაზე, სურამში ტარდება ქართველი და უკრაინელი ხალხების მეგობრობის სიმბოლოდ ქცეული სახალხო ზეიმი „ლესიაობა“. ამ დღისათვის საგანგებოდ ემზადება სურამის მე-3 საჯარო სკოლა, რათა საუკეთესო მასპინძლობა გაუწიოს უკრაინელებს.

წელს „ლესიაობა“ 31 ოქტომბერს აღინიშნა. სკოლამ, ტრადიციულად, არაჩვეულებრივი პროგრამა წარმოადგინა – უახლოეს პერიოდში ლესია უკრაინკასა და უკრაინის შესახებ დაგროვილი მასალების გამოფენა პავილიონების სახით. სულ ხუთი პავილიონი: თივთმმართველობა, სასკოლო ტელესტუდია „ლესია“, არტეკი, ლესია საქართველოში და ლესია უკრაინკას მუზეუმი. ბავშვებმა „გააცოცხლეს“ ლესიას ლექსები, მოაწყვეს პოდიუმი ლესიას მოტივებზე. სტუმრები – უკრაინის დელეგაცია, ადგილობრივი მთავრობა და ახლად დანიშნული უკრაინის სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, ბატონი **ვასილ ციბენკო** აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ. ელჩმა ისაუბრა ჩვენი სკოლის უკრაინასთან ურთიერთობაზე. მან უდიდესი მოწონება გამოხატა მოსწავლეების მიმართ.

ვასილ ციბენკო, უკრაინის სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში: *„მოხარული ვარ, რომ თქვენი სკოლა შესანიშნავად იცნობს ლესიას შემოქმედებას. ჩვენი და თქვენი ქვეყნის მთავრობები ბევრს ვაკეთებთ იმისათვის, რომ ჩვენი მეგობრული ურთიერთობა დიდხანს გაგრძელდეს, თქვენ ამაში ნამდვილად გვეხმარებით.“*

თამარ ჯობაძე, სურამის №3 საჯარო სკოლის დირექტორი: *„ლესიაობა“ დიდი სახალხო ზეიმია, რომლის მრავალწლიანი ისტორია უკავშირდება უკრაინელი პოეტის – ლესია უკრაინკას ხსოვნას.*

როგორც წესი, ზეიმი სურამის №3 საჯარო სკოლით იწყება. ჩვენი სკოლა ხომ ლესიას სახელს ატარებს. სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები დიდი სიხარულით ელოდებიან სტუმრებს. წლების განმავლობაში ამ დღეს სკოლა სტუმრობს ცნობილ პოეტებს, ჟურნალისტებს, სახელმწიფო მოღვაწეებს, მაგრამ განსაკუთრებული სიყვარულით ველოდებით სტუმრებს იმ ქალაქიდან, სადაც ლესია დაიბადა – ნოვოგრად-ვოლინსკიდან. ჩვენი მოსწავლეები კარგად იცნობენ ამ ქალაქს, აქვთ მიმოწერა იქაურ მოსწავლეებთან. 2005 წელს სკოლის დელეგაცია, 11 ბავშვის შემადგენლობით, ესტუმრა ძველ ზვიაგელს – ლესიას სამშობლოს. მათ მიეცათ საშუალება ყველაფერი, რაც დაკავშირებულია დიდი პოეტის სახელთან, ენახათ საკუთარი თვალით. ხოლო 2006 წელს სკოლას ესტუმრა საპასუხო დელეგაცია ლესია უკრაინკას სახელობის კიევის №117 გიმნაზიიდან. ალბათ, უკრაინელ ხალხთან ჩვენმა ინტენსიურმა ურთიერთობამ განაპირობა ის ფაქტი, რომ დღეს ჩვენი სკოლის 18 კურსდამთავრებული სწავლას აგრძელებს უკრაინის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

ჩვენმა მრავალწლიანმა ურთიერთობამ წარმატებით ჩააბარა ერთგულების, თანამშრომლობის და მხარში დგომის გამოცდა. ამიტომ გვჯერა, რომ ჩვენი მეგობრობა მარადიული იქნება.

სკოლა ჩვეულ ფორმაში აგრძელებს სასწავლო პროცესს, მომავალ წელს კი სტუმრებს კვლავ ელოდება.

თათია გროლიძე
ჟურნალისტიკის წრის წევრი,
XII კლასი

მშობლის და მასწავლებლის პარტნიორობა ბავშვის პიროვნული ზრდის საწინდარია

ბავშვები სკოლაში გარკვეული ცოდნითა და ზოგიერთი შეძენილი უნარ-ჩვევით შემოდიან. მათ განვითარებული აქვთ მეტყველება და, მეტ-ნაკლებად, კომუნიკაციაც შეუძლიათ. მშობელი ბავშვის პირველი მასწავლებელია. იგი უკეთ იცნობს შვილის ბუნებას, იცის რა მოსწონს, რა – არა, როგორი ფანტაზიის უნარი აქვს.

ბავშვის სკოლაში შესვლის შემდეგ, მშობელი და მასწავლებელი ერთად მომუშავე პარტნიორები ხდებიან. მშობელს და სკოლას ერთნაირი პასუხისმგებლობა აკისრია ბავშვისათვის წარმატებული გარემოს შექმნაში. მასწავლებელმა უნდა დაანახოს მშობელს, რომ სკოლა ის ადგილია, სადაც ისინი ერთად იმუშავებენ. ასეთი ერთიანობის შედეგად, ბავშვი, პიროვნულად და აკადემიური მოსწრების თვალსაზრისითაც, იზრდება. როცა ბავშვი ხედავს, როგორ ჩაება მშობელი სკოლის ცხოვრებაში და როგორ მუშაობს მასწავლებელთან ერთად, ცხადი ხდება, რომ მისი სამყაროს ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანები მასზე ზრუნვით არიან დაკავებულნი. ამ დროს მას წარმატების მიღწევის სურვილი ებადება.

მასწავლებელსა და სკოლას შორის კავშირი ნდობაზე უნდა აიგოს. ურთიერთობა იწყება იმაზე ფიქრით, თუ რა შეგვიძლია ვისწავლოთ მასწავლებლებმა მშობლებისაგან ბავშვის შესახებ, რათა უკეთ ჩავწვდეთ მის ინდივიდუალურობას, უკეთ გავიცნოთ მისი პოზიტიური და ნეგატიური მხარეები, დავინახოთ იმ კუთხით, რომლითაც არ ვიცნობთ და საგაკვეთილო პროცესში ვერ იჩენს თავს. მასწავლებელსა და მშობელს შორის წარმატებული ურთიერთობისათვის აუცილებელია შესრულდეს ორი პირობა: თანმიმდევრული, ორმხრივი ურთიერთობა და სხვადასხვა სახის აქტივობებში ჩართვა. პროექტი **„ერთი კვირა ოჯახთან ერთად“** (ხელმძღვანელი **მარინე გამცემლიძე**) სწორედ ამიტომ შეიქმნა. იდეის ავტორი, მთაწმინდა-კრწანისის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი **მედეა სამსონია** ამბობს, რომ პროექტის უპირველესი მიზანი მშობლის როლის გააქტიურება და სასკოლო პროცესში აქტიური ჩართვაა. მასწავლებლისთვის კი მოსწავლის უკეთ გაცნობა, მისი სწავლისა და განვითარებისათვის მაქსიმალური ხელშეწყობა, რასაც უსათუოდ უნდა მოჰყვეს მოსწავლისათვის სწავლის მოტივაციის ამაღლება. პროექტი გრძელვადიანია და სასურველია მშობლების უმრავლესობის ჩართვა.

პროექტი „ერთი კვირა ჯულიას ოჯახთან ერთად“

ჯულიას დედამ, ქალბატონმა მარიზამ პროექტში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა. ჩვენ შევხვდით ერთმანეთს და ერთად დავგეგმეთ პროექტის განსახორციელებლად საჭირო ღონისძიებები. მან ფოტოსურათები მოიტანა სტენდისა და სლაიდების მოსამზადებლად. „დილის შეხვედრაზე“ მოსწავლეები დასხდნენ მრგვალი მაგიდის გარშემო, მათ წინ მაგიდასთან კი – მასწავლებელი და მშობელი. მან ბავშვებს გააცნო ჯულიას ოჯახი, მისი წევრები, გარემო, სადაც გოგონა იზრდება, უამბო რა ინტერესები აქვს მას, რა მოსწონს, რა აღიზიანებს და ა.შ. ამ ინფორმაციის მიღების შემდეგ, მოსწავლეებმა დამატებითი შეკითხვები დასვეს. მშობელი მთელი კვირის განმავლობაში აქტიურად ჩაერთო სასკოლო ცხოვრებაში, დაესწრო გაკვეთილებს, საჭიროების შემთხვევაში ეხმარებოდა მასწავლებელს სხვადასხვა აქტივობების განხორციელებაში. პარალელურად, მასწავლებელთან შეთანხმებით, იგეგმება მომდევნო დღის განრიგი, თუ როგორი სახით ჩაერთოს ქალბატონი მარიზა ამა თუ იმ აქტივობაში და რა საჭირო რესურსია მოსამზადებელი. კვირის ბოლო დღეს, მშობელმა თავად მოირგო მასწავლებლის როლი და მომზადებული პროგრამის მიხედვით ჩაატარა გაკვეთილი – მოსწავლეებს გაუზიარა საკუთარი გამოცდილება.

დასასრულ, მასწავლებელმა და მშობელმა ერთად განიხილეს პროექტის შედეგები.

აი, ასეთია მოკლედ პროექტი, რომელიც 144-ე საჯარო სკოლაში წარმატებით განხორციელდა. ამიტომაც გადაწყვიტა ქალბატონმა მედეამ, რომ ეს გამოცდილება სკოლას სხვებისთვისაც გაეზიარებინა. ამ მიზნით, პირველი და მეორე კლასების პედაგოგებმა – პრეზიდენტის სტიპენდიანტმა **მარინე გამცემლიძემ** და **მზევი ცომაიამ** მთაწმინდა-კრწანისის რაიონის სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებლებისა და კათედრის ხელმძღვანელებისათვის გაკვეთილები ჩაატარეს. მოიწვიეს რესურსცენტრის ხელმძღვანელი და სპეციალისტი **სალომე ჯელაძე**.

გთავაზობთ, პროექტის ფარგლებში, მათ მიერ ჩატარებული გაკვეთილების სქემას:

საგანი: ქართული ენა – ბუნება – ხელოვნება
პედაგოგი: მზევი ცომაია
გაკვეთილის თემა: ირმები და ტურა
კლასი: II^{ა}
მიზნები: იგავ-არაკის შინაარსის გაგება; მორალური ანალიზი; ფანტაზიის განვითარება; კითხვის ტექნიკის გავარჯიშება; წერის უნარ-ჩვევების დახვეწა.
შეფასება: მიმდინარე შეფასება – ზეპირი განმავითარებელი კომენტარები, სავარჯიშოები დაფაზე, მოსწავლეთა თვითშეფასება, შეფასების სქემა.
აქტივობები:
განწყობის შექმნა – წარვადგინე პლაკატი, სადაც მრუდში სიტყვები იყო ჩაწერილი. მოსწავლეები ირჩევენ იმ სიტყვებს, რომლებიც გაკვეთილზე დასჭირდებათ (3 წთ.);
გამოწვევა – საუბარი შემოდგომის ტყეზე და ტყის ბინადრებზე (5 წთ.);
პაუზებით კითხვა (20 წთ.);
ვენის დიაგრამის დახმარებით ირმებისა და ტურის შედარება (5 წთ.);
ჯგუფური მუშაობა – თითოეულ ჯგუფს ვურიგებ ბლუმის ტაქსონომიის პრინციპით შედგენილ კითხვებს (5 წთ.);
პრეზენტაცია (2 წთ.);
დისკუსია დედამიწის პრობლემების შესახებ;
თოჯინური სპექტაკლი „კრება სამხრეთის ტყეში“ (სპექტაკლი ეხება გლობალური დათბობის პრობლემებს) (7 წთ.);
დასკვნა – წებოვან ფერად ფურცლებზე მოსწავლეები ინდივიდუალურად წერენ მხოლოდ ერთ დასკვნას, რომელიც გაკვეთილიდან გამოიტანეს და აკრავენ ხის დიდ ბუტაფორიაზე (3 წთ.).

მოსწავლეთა ორგანიზება: ჯგუფური, ინდივიდუალური, მთელი კლასი.
საჭირო რესურსები: სახელმძღვანელო, დაფა, ფერადი ცარცები, მარკერები, კალამი, წებოვანი ფურცლები, წინასწარ მომზადებული სცენა სპექტაკლისთვის და თოჯინები.

* * *

საგანი: ქართული ენა
პედაგოგი: მარინე გამცემლიძე
კლასი: I^{ა} კლასი
გაკვეთილის თემა: „ასო-ბგერა **ფ**“ (ასო-ბგერის შესწავლის II გაკვეთილი)
მიზნები:
სწორი კითხვის ჩვევის დაუფლება, ტექსტის კითხვა;
ფ ასო-ბგერის წერით შესწავლა – ასოს და სიტყვის წერა;
მეტყველებისა და აზროვნების განვითარება;
ლექსიკური მარაგის გამდიდრება;
კომპიუტერთან მუშაობის ელემენტარული ჩვევების დაუფლება;
ინფორმაციული საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით სახალისო გაკვეთილის ჩატარება და მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება.
შეფასება: მიმდინარე შეფასება – ზეპირი განმავითარებელი კომენტარები, სავარჯიშოები დაფაზე, წერის რვეულები, მოსწავლეთა თვითშეფასება, შეფასების სქემა (ნიმუში თან ერთვის).
აქტივობები:
განწყობის შექმნა – მოსწავლეები კომპიუტერში DJ გოგას სიმღერის დახმარებით მღერიან და იხსენებენ კვირის დღეებს;
კითხვის ტექნიკის სრულყოფისათვის ასრულებენ სავარჯიშოებს დაფაზე;
ვარჯიშობენ სწორად და გაბმულ კითხვაში;
კითხვა-პასუხის საშუალებით აანალიზებენ ტექსტს;
„სიტყვის სკივრიდან“ ამოღებული სიტყვებით ადგენენ წინადადებებს;
ასრულებენ დამოუკიდებელ აქტივობას – სიტყვებით ინდივიდუალურად აწყობენ წინადადებებს;
ემზადებიან წერისათვის – კომპიუტერული პროგრამის დახმარებით ეცნობიან ასოს გრაფიკულ მოხაზულობას, ვარჯიშობენ სწორად მოხაზვაში, პარალელურად წერენ დაფაზეც;
ასრულებენ წერით სამუშაოს – **შ** ასო ცალკე და სიტყვაში;
ერთად აფასებენ გაკვეთილს.
მოსწავლეთა ორგანიზება: ინდივიდუალური, მთელი კლასი.

დროის განაწილება:
განწყობის შექმნა – 3 წთ.
სავარჯიშოები დაფაზე – 5 წთ.
ტექსტის კითხვა – 7 წთ.
ტექსტის ანალიზი – 3 წთ.
სიტყვის სკივრი – 5 წთ.
წერისთვის მზადება: კომპიუტერით ასოს გრაფიკული მოხაზვა – 5 წთ.
წერა – 5 წთ.
გაკვეთილის შეფასება – 2 წთ.
საჭირო რესურსები: სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი, კალამი, რვეული, სკივრი, დაბეჭდილი ბარათები, ფერადი კონვერტები, კომპიუტერი, პროექტორი.

- www.childtopia.com;
- www.dackebitiskola.blogspot.com
- www.1tv.ge/kids/gogatamashi.html
- www. exe.ge (www.allsgares.ge)
- კომპ. პროგრამა paint.

ქეთევან ქათამაძე
ისტ-ი მენეჯერი

შეფასების სქემა

1	ავეტისოვი თამარი	□□□	□□	□□□	□□□□
2	ბერიანიძე სოფო				
3	გოგოძე ელენე				
4	მანჯავიძე ლუკა				

სუსტი □ მზარდი □□□
დამაკმაყოფილებელი □□ კარგი □□□□

„საქართველო არის ესე...“

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამების დეპარტამენტის მიერ „სამოქალაქო აქტიურობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში“ გამოცხადებულ კონკურსში, რომელშიც ჩართული არიან 41 სკოლისა და 41 სპეციალიზებული საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულების მოზარდები, მასწავლებლები, მშობლები და კოორდინატორები, ტოლერანტული განწყობის ამაღლების მიზნით, 18 ნოემბერს თბილისის №71 საჯარო სკოლაში (დირექტორი **რამაზ სუპატაშვილი**) ჩატარდა ღონისძიება-კონკურსი „საქართველო – კულტურული და ეთნიკური მრავალფეროვნება“.

სცენაზე ერთმანეთს ცვლიდა კონკურსში ჩართულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ერთი ნაწილის (ხუთი წყვილი პარტნიორი სკოლა) – დუშეთის, საგურამოს, კოჯრის, წყნეთისა და თბილისის 71-ე საჯარო სკოლები და მათი პარტნიორი სპეციალური საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების მოზარდები, მასწავლებლები და მშობლები.

საინტერესოდ და ხალისიანად წარმოადგინეს ჩვენი ქვეყნის მრავალეთნიკური მოსახლეობის ტრადიციული ცეკვები და სიმღერები, იუმორისტული ნომრები, თეატრალიზებული წარმოდგენები და სხვ.

მონაწილენი ცდილობდნენ გამოევლინათ თავიანთი თემის დონეზე არსებული კულტურული და ეთნიკური მრავალფეროვნება, თემის წევრთა მშვიდობიანი თანაცხოვრება, როგორც ტოლერანტიზმის მთავარი პრინციპი.

წარმოდგენის დასასრულს ყველა მონაწილემ ერთად შეასრულა საქართველოს ჰიმნი.

ღონისძიება-კონკურსს ესწრებოდნენ: განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამების დეპარტამენტის კოორდინატორი **ლელა ცქიტიშვილი**, სპეციალისტი **გოგიტა ვარდოსანიძე** და სხვა მოწვეული სტუმრები. ქალბატონმა ლელა ცქიტიშვილმა მადლობა გადაუხადა კონკურსის მონაწილეებს.

კონკურსი გრძელდება.

წარმატებებს ვუსურვებ კონკურსში ჩართულ ყველა წყვილ პარტნიორ სკოლას.

ნაზი ნადირაძე
თბილისის 71-ე საჯარო სკოლის „სათემო აქტივობების“ კოორდინატორი

სკოლის ფსიქოლოგთა დასახმარებლად

მოზარდობა

მოზარდობის ასაკის ფსიქოლოგიური თავისებურებები

რუბრიკას უძღვება საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდის ფსიქოლოგი ქეთევან თავართქილაძე

მოზარდობის პერიოდი – ეს არის ცხოვრების განსაზღვრული მონაკვეთი ბავშვობასა და მოწიფულობას შორის. ეს პერიოდი ყოველი ინდივიდისთვის განსხვავებულად მიმდინარეობს და სხვადასხვა დროს იწყება. იგი შეიძლება შევადაროთ ბავშვობასა და მოწიფულობას შორის გადებულ ხიდს, რომელზეც ყველამ უნდა გაიაროს, ვიდრე პასუხისმგებელი და შემოქმედი მოზრდილი ადამიანი გახდება.

მოზარდობის პერიოდის ცვლილებები მოიცავს ოთხ სფეროს: სხეული, აზროვნება, სოციალური ცხოვრება და თვითცნობიერება.

მოზარდების განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოება, სოციალური გარემო, რომელშიც ისინი იზრდებიან. საზოგადოებაში მოზარდები გარშემომყოფებთან ურთიერთობას, სხვადასხვა სიტუაციებთან შეგუებასა და წარმოქმნილი სირთულეების დაძლევას სწავლობენ. სოციალურ გარემოს შეუძლია ხელი შეუწყოს მოზარდს სირთულეების დაძლევაში, მაგრამ ასევე შეუძლია ახალი პრობლემების შექმნაც, რაც ნეგატიურად აისახება მის ფიზიკურ და ფსიქიკურ განვითარებაზე.

იმისათვის, რომ სოციალურმა გარემომ, საზოგადოებამ პოზიტიური როლი შეასრულოს მოზარდთა განვითარებაში, აუცილებელია მოზარდობის ასაკის ფსიქოლოგიური თავისებურებების ცოდნა და მოზარდთან ურთიერთობისას მათი გათვალისწინება.

ითვლება, რომ **ათი წლის** ასაკში ბავშვი გაწონასწორებული და მიმნდობია, თავის გარეგნობაზე ჯერ კიდევ ნაკლებად ზრუნავს. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ამ ასაკში განსაკუთრებით დიდია მაგალითის ძალა. მაგალითი უშუალოდ ქვეცნობიერზე მოქმედებს და ამიტომ უფრო სწრაფად ახდენს პიროვნების ფორმირებას, ვიდრე ინტელექტზე აპელირება ან მორალის კითხვა.

ათი წლის ასაკში ბიჭები ხშირად ჩხუბობენ. რა არის ამის მიზეზი? რატომ ჩხუბობს ბავშვი და რატომ ახდენს მოზრდილთა შენიშვნების იგნორირებას? ჩვეულებრივ, ეს იმიტომ ხდება, რომ ის (მისი თანატოლი) და მოზრდილი ადამიანი მის საქციელს სხვადასხვა პოზიციებიდან აფასებენ. თანატოლებს და თვითონ მიაჩნიათ, რომ ვინც არ ჩხუბობს, ის ლაჩარია და ამიტომ უფროსების მოთხოვნებს არაფრად აგდებენ, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს მოთხოვნები ხშირად და უხეში ფორმით მეორდება. ასაკობრივი ჯგუფის და მშობელთა ღირებულებები თანდათან სცილდება ერთმანეთს. ამიტომ არასასურველია დამნაშავის დასჯა სხვების თანდასწრებით, მით უმეტეს, თანატოლების თანდასწრებით. ეს მოზარდმა შეიძლება აღიქვას, როგორც დამცირება და გულჩახვეული, ჯიუტი გახდეს. თხოვნის შეუსრულებლობა, შენიშვნების იგნორირება, სენსორული სიყრუე და სიბრმავე სხვა არაფერია, თუ არა ბავშვის ფსიქოლოგიური დაცვის სხვადასხვა ფორმა.

როცა ბავშვი რაღაცას იგონებს და ტრაბახობს, – ეს, როგორც წესი, მისი რეაქციის ფორმაა არარეალიზებულ პრეტენზიებზე: ყურადღების, სიყვარულის, აღიარების. თუ ასეთ დროს „ტყუილში დავიჭერთ“, ეს დადებით შედეგამდე არ მიგვიყვანს. საჭიროა ამგვარი ქცევის მიზეზების ძიება. ბავშვები ტყუიან, როცა მათ რაიმეზე თქვენი ნებართვა სჭირდებათ; როცა რაიმე მათ პირად ცხოვრებას ეხება; როცა ფიქრობენ, რომ თქვენ ეტყვით „არა!“-ს ან როცა თქვენ უადგილო კითხვას უსვამთ.

ამ ასაკში ბავშვს უკვე უნდა ჰქონდეს საკუთარი ადგილი სახლში: ოთახი, ოთახის ნაწილი, მაგიდა. წინააღმდეგ შემთხვევებში ადგილი აქვს მშობლებთან ხშირ კონფლიქტებს. მშობლებთან დაპირისპირებით ბავშვები თავიანთი დამოუკიდებლობის დემონსტრირებას ახდენენ. იმ გარემოს რეალური კონტროლის შესაძლებლობა, სადაც ადამიანი ავტონომიური პიროვნებაა, მას პასუხისმგებლობასა და აქტივობას უყალიბებს. როცა ასეთი გარემო არაა – ბავშვი უფრო გაუბედავი და პასიურია.

თერთმეტი წლის ასაკში ქცევა იცვლება. 11-12 წლის ბავშვის ჩონჩხი მძიმდება, მოძრაობა მოუხეშავია. მოზარდი უფრო იმპულსური ხდება, გუნება-განწყობილება ადვილად ეცვლება, ხშირდება კონფლიქტები თანატოლებთან. ამ ასაკში ვითარდება ნებელობითი სფერო. ამიტომ მშობლის ან პედაგოგის მხრიდან მოზარდის აქტივობის, ინიციატივის ნებისმიერი ჩახშობა ძალიან მტკივნეულად აღიქმება, ბავშვში ნეგატივიზმსა და გულჩახვეულობას იწვევს, მას პასიურ, გაუბედავ ადამიანად აყალიბებს.

მკაცრი კონტროლის და მუდმივი მზრუნველობის ატმოსფეროში გაზრდილი მოზარდი საბოლოო ჯამში უმწეო და სხვებზე დამოკიდებულ პიროვნებად ყალიბდება. ხოლო ზედმეტი თავისუფლება მასში ასოციალურ, ეგოისტურ ტენდენციებს ბადებს. ნდობაზე დამყარებული ურთიერთობა ავითარებს ბავშვში თვითპატივისცემას, პირადი ღირსების გრძნობას, აძლიერებს უსაფრთხოებისა და ემოციონალური კომფორტის განცდას.

ამ ასაკში ბავშვისთვის ძნელი გასაგებია, თუ რატომ მოაქვს „დიდების სამყაროში“ გადასვლას ვალდებულებათა მთელი რიგი, ნაცვლად დიდი ხნის ნანატრი თავისუფლებისა. ამიტომ ბევრ მათგანს ბავშვად დარჩენა სურს. ისინი თავს არიდებენ პასუხისმგებლობას, მატულობს შფოთიანობა, აგრესიულობა, ნევროტული სიმპტომები.

ბავშვი ოპოზიციურადაა განწყობილი ყველაფრისადმი, რაც გარედან არის თავს მოხვეული, ამას კი ხშირად ღირებულებათა და ავტორიტეტების ტოტალურ უარყოფამდე მივყავართ. ამიტომაც, არ უნდა მოვითხოვოთ მისგან ჩვენი განკარგულებების სასწრაფო შესრულება. ყოველთვის უნდა მივცეთ დრო. უფროსის მხრიდან ყურადღების გამოვლენა ამაღლებს მოზარდის თვითპატივისცემას, ის დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანას ეჩვევა.

თორმეტი წლის ასაკში ბავშვის იმპულსურობა მცირდება, სამყაროსადმი დამოკიდებულება უფრო დადებითი ხდება. ოჯახში მისი ავტონომია იზრდება და, იმავდროულად ძლიერდება მასზე თანატოლების ზეგავლენა. ის ხალისით იჩენს ინიციატივას, იწყებს საკუთარ გარეგნობაზე ზრუნვას და ინტერესდება საპირისპირო სქესის წარმომადგენლებით. ინტენსიურად ვითარდება ლოგიკური მეხსიერება და აზროვნება, რაც განსაზღვრავს ამ ასაკის მთავარ შტრიხებს: გონივრულობას, მოთმენის უნარს და იუმორს.

ერთ-ერთი ურთულესი პრობლემაა ბავშვთა ნარკომანია. თუ მშობლები ამჩნევენ ბავშვის მიერ ნარკოტიკების გამოყენებას, ჩვეულებრივ, სტიქიურად, დაშინების გზას ირჩევენ. ეს არასწორი გზაა და საპირისპირო შედეგებს იწვევს. ძლიერი შიში ყოველთვის ხანმოკლეა, იწვევს თავდაცვით რეაქციას და ხშირად მოზარდებში ნარკოტიკებისადმი ინტერესს აძლიერებს. ამ შემთხვევაში, უფრო ეფექტურია სხვა გზა – ნებისყოფისა და დამოუკიდებლობის განვითარება, კრიტიკული აზროვნების, გადაწყვეტილების მიღების უნარის ჩამოყალიბება, კონფლიქტებთან, სტრესებთან გამკლავება, ადეკვატური თვითშეფასების ჩამოყალიბება.

ცამეტი წლის მოზარდის არსებითი მახასიათებელია საკუთარი თავითა და შინაგანი სამყაროთი დაინტერესება. ცნობიერებისა და თვითცნობიერების განვითარება განაპირობებს საკუთარი თავით დაინტერესებას, ამიტომ მოზარდი საკუთარ თავში იკეტება, თვითკრიტიკული და კრიტიკისადმი მგრძნობიარე ხდება. ინტერესდება ფსიქოლოგიით, სკეპტიკურადაა განწყობილი მშობლების მიმართ. ქურდობა და არაგულწრფელობა, ამ ასაკის ბიჭებში, ხშირად განპირობებულია თანატოლებთან კონტაქტის მოთხოვნილებით. აქ ფული და ნივთები ყურადღების მიქცევის იარაღებად მოიაზრება. ამიტომ მშობელი უნდა ეცადოს, რომ მისცეს მოზარდს ჯიბის ფული.

ეს ასაკი კრიტიკულია პიროვნების ფორმირების თვალსაზრისით. ყალიბდება ინდივიდუალური მსოფლმხედველობა, პიროვნულ ღირებულებათა სისტემა. ეს ასაკი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს, თუ რა გზით წავა პიროვნების შემდგომი განვითარება.

ამ ასაკობრივ პერიოდში იზრდება ინტერესი უკვდავებისადმი. ამ პრობლემაზე კონცენტრირება მიუთითებს, რომ მიმდინარეობს სერიოზული შინაგანი ბრძოლა – მოზარდი შფოთავს იმის გამო, რომ მის არსებობას საფრთხე ემუქრება. სწორედ ამ პერიოდში ხდება აღნიშნული შფოთის დაძლევის გზის არჩევა – ან ცხოვრებაში რეალური მიღწევების გზა, ან ფანტაზიების სამყაროში გადაჭრის გზა, ანუ ან დიდება და უკვდავება მიწიერი გაგებით, ან სულიერი ცხოვრება.

მოზარდები, ამ ასაკში, იწყებენ საპირისპირო სქესის წარმომადგენლებზე ზრუნვას, ამასთან ეს განისაზღვრება არა იმდენად სქესობრივი მომწიფების დონით, რამდენადაც გარკვეული ნორმებით, წარმოდგენებით იმის შესახებ, თუ როდისაა ამის გაკეთება მიღებული თანატოლებში. ჩნდება გარკვეული ინტერესი პორნოგრაფიისადმი. გუნება-განწყობილების ცვალებადობა და შფოთიანობა ამ ასაკში სპეციფიკურად ვლინდება. შფოთიანობა გამოიხატება თანატოლებთან ურთიერთობის დაძაბვით და არა, ვთქვათ, გაუბედაობით ან სიკვდილის შიშით.

იცვლება მოტივთა სისტემა – ჩნდება ახალი მიზნები, იცვლება მათი იერარქია. მოტივთა სისტემის გარდაქმნა ვლინდება ოჯახურ წრესთან ურთიერთობის ღირებულებათა დაქვეითებით: ყველაზე დიდ ავტორიტეტად იქცევიან თანატოლები, და არა მშობლები. მშობელთა მხრიდან წამოყენებული მოთხოვნები მოზარდისათვის მნიშვნელოვანია მხოლოდ მაშინ, თუ ისინი მნიშვნელოვანია ოჯახს გარეთაც, თანატოლთა წრეში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს მოთხოვნები პროტესტს იწვევს.

თოთხმეტი წლის ასაკში მოზარდის ყურადღება ისევ გარემომცველ სამყაროზე გადადის – ინტრავერსია იცვლება ექსტრავერსიით. ამ პერიოდში მოზარდი ექსპანსიურია, ენერგიული, საკუთარ თავში დარწმუნებული. იმავდროულად, იზრდება მისი ინტერესი სხვა ადამიანებისა და მათი შინაგანი სამყაროსადმი. ბავშვი ადარებს საკუთარ თავს სხვა ადამიანებს. განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება აზროვნების ოპერაციები, ამიტომ მოზარდი საკუთარ აზროვნებას უსაზღვრო შესაძლებლობებს მიაწერს. ის დარწმუნებულია, რომ შეუძლია გარემომცველი სამყაროს შეცვლა.

განსაკუთრებით იზრდება ინტერესი საკუთარი გარეგნული მონაცემებისადმი. ზოგჯერ მოზარდი თავს მახინჯად მიიჩნევს, აქცენტირებას აკეთებს რომელიმე ფიზიკურ თავისებურებაზე, ხშირად იხედება სარკეში, მტკივნეულად იღებს თავის გარეგნობასთან დაკავშირებულ შენიშვნებს. ამ დროს აჯობებს, თუ გარეგნობაზე არ გავამახვილებთ ყურადღებას და უფრო ღირებულ ფასეულობებზე გადავრთავთ მის ყურადღებას.

თხუთმეტი წლის ასაკის მთავარი თავისებურებაა დამოუკიდებლობის მაქსიმალიზმი. მოზარდი იცავს საკუთარ პოზიციებს, შეხედულებებს. სხვებში ყველაზე მეტად აფასებს ერთგულებას, პატიოსნებას და სიკეთეს. ისინი უფრო მეტად ენდობიან თანატოლებს, ვიდრე უფროსებს. ხდება თანატოლთა შესაძლებლობების გადაჭარბებული შეფასება. მოზარდს ხშირად ჰგონია, რომ გარემომცველებს მისი არ ესმით და მის მიმართ ცუდად არიან განწყობილნი.

ამ პერიოდში იზიდავს დაძაბული სიტუაციები, რისკი. ყურადღებას აქცევს ისეთ თვისებებს, როგორიცაა ამტანობა, მიზანდასახულობა, გამბედაობა. ხშირად ახდენს სტრესული სიტუაციების, კონფლიქტების პროვოცირებას. ამას სხვისი და საკუთარი შესაძლებლობების შესაფასებლად და დასადგენად აკეთებს.

ამ ასაკში წამყვანი მოტივია თანატოლთა წრეში დამკვიდრებისა და ავტორიტეტის მოპოვების სურვილი. დაბალი თვითშეფასების მქონე მოზარდებში დიდია დევიაციურ ჯგუფში მოხვედრის საშიშროება, სადაც მისი ნაკლოვანებები მიიღება, როგორც ღირსებები.

თექვსმეტი წლის ასაკში ემოციური ნონასწორობა შედარებით აღდგება. თუმცა მოზარდი შეფასებებში ისევ ცალმხრივი და კატეგორიულია. ამიტომ მისი სოციალური აქტივობა ნეგატივიზმისა და რადიკალური კრიტიკის ფორმით ვლინდება. ის აპროტესტებს ყველაფერს, რაც არ შეესაბამება მის იდეალს. ამ ასაკში საკუთარი ინდივიდუალობის, განუმეორებლობის და ერთადერთობის გაცნობიერება ხდება. ამან შეიძლება მოზარდში შინაგანი დაძაბულობა და მარტოობის განცდა გამოიწვიოს. ეს გრძნობა აძლიერებს ურთიერთობის მოთხოვნილებას და მის არჩევითობას. ამიტომ, ამ პერიოდში უდიდეს როლს ასრულებს მეგობრობა. ფიზიკური კომუნიკაცია (მოხვევა, ჩქმეტა, მუჯლუგუნები) თანდათანობით იცვლება სიტყვიერი კომუნიკაციით: კომპლიმენტებით, ხუმრობით, ირონიით, ხანგრძლივი სატელეფონო საუბრებით.

მოზარდები ცდილობენ, დაუმტკიცონ საკუთარ თავსაც და სხვებსაც, რომ ისინი უკვე დიდები არიან და დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღება შეუძლიათ. მუდმივი მზრუნველობა და მეურვეობა არ იძლევა საკუთარი გამოცდილების დაგროვების საშუალებას და გარდაუვლად იწვევს მოზარდის გაუბედაობას, მერყეობას, სხვისი ზეგავლენის ქვეშ ადვილად მოქცევას, უპასუხისმგებლობას, ცხოვრების ინფანტილური წესის გახანგრძლივებას.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

საუბრები ბიბლიაზე

შესაქმის მეოთხე დღე

რუბრიკას უძღვება
როლანდ ჩხეიძე

მნათობთა შექმნის რამდენიმე ვერსია

„თქვა ღმერთმა: იყოს მნათობები ცის მყარზე დღისა და ღამის გასაყრელად, დროჟამის აღმნიშვნელად – დღეებისა და წელიწადებისა;

იყვნენ მანათობლებად ცის მყარზე რომ გაანათონ მიწა. და იქმნა ასე.

გააჩინა ღმერთმა ორი მთავარი მნათობი, – დიდი მნათობი დღის განმგებლად და მცირე მნათობი ღამის განმგებლად და ვარსკვლავები.

დასხა ისინი ღმერთმა ცის მყარზე, რომ გაენათებინათ მიწა, განეგოთ დღე და ღამე, გაეყარათ ნათელი და ბნელი. დაინახა ღმერთმა, რომ კარგი იყო.

იყო საღამო, იყო დილა – მეოთხე დღე“ (დაბ. 1:14-19).

მამა სერაფიმე როუზი გვასწავლის: ვინც მოისურვებს შესაქმე ევოლუციურ ჩარჩოებში მოაქციოს, დაბადების მეოთხე დღე მისთვის დიდ გაუგებრობას გამოიწვევს. თუ დავიჯერებთ, რომ მზე მეოთხე დღეს შეიქმნა, სამყაროს ევოლუციური განვითარების გზა მართლაც მიუღებელი გახდება. სწორედ ამიტომ, წმინდა წერილის ამგვარად განმარტების აპოლოგეტები, საკუთარი თეორიის დასაცავად იძულებულები არიან ამტკიცონ, რომ სინამდვილეში მანათობლები პირველ დღეს შეიქმნა, ხოლო მეოთხე დღეს, მას შემდეგ, რაც ხშირი ღრუბელი დედამიწიდან ცისკენ გაემართა, დაიწყო გამოჩენა მზემ, მთვარემ და ვარსკვლავებმა. მაგრამ, არ უნდა დაგვავიწყდეს, – ბრძანებს მამა სერაფიმე, – დაბადების წიგნის პირველი თავები დედამიწის ბუნებრივი განვითარების შესახებ კი არ გვიამბობენ, არამედ მათში ასახულია ადამიანისათვის იმ ძნელად მისაწვდომი საოცრებების შესახებ, რასაც სამყაროს შესაქმე ეწოდება. ჩვენ არა გვაქვს უფლება საკუთარ თეორიებს მოვარგოთ დაბადების დღეებში ასახული თანმიმდევრობა. მამა სერაფიმე როუზის აზრით, უმჯობესი იქნება საკუთარი ბრძენობა მოვდრიკოთ და გულისყური იმას მივაპყრათ, თუ რას გვასწავლის წმინდა წერილი. ეს რომ ასე არ იყოს, განაგრძობს იგი, – წმინდა მამებს არანაირი მიზეზი არ ექნებოდათ უარი ეთქვათ განვითარების ეგრეთ წოდებულ „ბუნებრივ თეორიაზე“, რომლის მიხედვითაც მზე პირველივე დღეს შეიქმნა, ხოლო მზის დისკო მეოთხე დღეს, ღრუბლების გაფანტვის შემდეგ გამოჩნდა (შეადარე, მამა სერაფიმე როუზი, *„Православное понимание книги Быти . М. 1998. Стр. 5455*).

სხვაგვარად ხედავს დაბადების მეოთხე დღეს დეკანოზი სერაფიმე სლობოდსკი. მას მიაჩნია, რომ მნათობთა მასალა და მნათობები მეოთხე დღემდე არსობრივად უკვე შექმნილი იყო; დასაწყისში, მეორე დღეს, ისინი მყარს ზემოთ არსებულ წყალს ანუ პირველქმნილ სითხეს წარმოადგენდნენ. შემდეგ, ეს თხევადი მასა მრავალრიცხოვან სფეროსმაგვარ სხეულებად გარდაისახა, ხოლო დაბადების მეოთხე დღეს, მას შემდეგ, რაც ზოგიერთ ამ სხეულში პირველქმნილი ნათელის მატერიალური ენერგია დამკვიდრდა, ისინი თვითმანათობელ პლანეტებად განცხადდნენ. (შეადარე, *Прф отоиерей Серафим Словодской. Закон Божий. М.: Дарьт006*).

ერთი სიტყვით, დაბადების წიგნში მეოთხე დღე დედამიწის უახლოეს კოსმოსში მიმდინარე პროცესებს მოიცავს. სწორედ ამ პერიოდში: „ცის მყარზე დღისა და ღამის გასაყრელად, დროჟამის აღმნიშვნელად“, ღმერთმა ცის მნათობები გააჩინა. ბიბლიაში, ამ სახით წარმოდგენილი ტექსტი, კი ყოველ ჩვენგანს საკითხის ჭვრეტის წყურვილს უჩენს და რაც მთავარია, არ უტოვებს ციური სხეულების, მათ შორის, მზის მთვარის, ვარსკვლავების თაყვანისცემის საფუძველს და არარსებული კოსმოსური ცივილიზაციების მოლოდინისა და შიშის მიზეზს.

მათ კი, ვინც წმინდა მამების რჩევებს არ მისდევს, ახალი ყალბი ნათელმხილველური აღმოჩენებით ცდილობს კოსმოსური სხეულებისა და სივრცეების ქურუმად დაიმკვიდროს თავი, უფალი უეჭველად მოიკითხავს და ჰკითხავს:

„სად იყავი, როცა დედამიწას ვაფუძნებდი? ამიხსენი, თუ გაქვს გაგება.

ვინ დასაზღვრა მისი ზომები, თუ იცი? მასზე ბაწარი ვინ გადაჭიმა?

რაზე დგას მისი საძირკვლები ან ვინ დადო მისი ქვაკუთხედი?“ (იობ. 38:4-6).

ამავე დროს, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ადამიანმა ზეცისაკენ არ უნდა გაიხედოს. ციური სხეულები, ღმერთმა, ადამიანისათვის შექმნა და ეს გრანდიოზული ქმნილებები პიროვნებაში უამრავ ტრანსცენდენტურ ასოციაციებს იწვევს (ლათ. transcendo – გადასვლა), ადამიანს ყოველდღიური ყოფიერების საზღვრებს გარეთ გასვლის საშუალებას აძლევს.

ვარსკვლავები

წმინდა წერილში ვკითხულობთ: „განა ღმერთი ცაზე მაღლა არ არის? შეხედე ვარსკვლავთა თავანს, რა მაღალია!“ (იობ. 22:12).

„შევხედავ შენს ცას – შენი თითების ნამოქმედარს, მთვარესა და ვარსკვლავებს, რომლებიც დააფუძნე“ (ფსალმ. 8:4).

ვარსკვლავების მზერით ადამიანს, რაღაც საკვირველი და გაუცნობიერებელი სიხარულის გრძნობა ეუფლება, ალბათ ამასვე მოწმობს ბიბლიის ტექსტი, სადაც ნათქვამია, რომ „გალობდნენ დილის ვარსკვლავები და ყიჟინობდნენ ღვთისშვილები?“ (იობ. 38:7), როდესაც ქვეყნის სრულყოფა მიმდინარეობდა.

წმინდა წერილში ვარსკვლავებს სიმბოლური მნიშვნელობაც აქვს. მაგალითად, დანიელ წინასწარმეტყველის წიგნში ნათქვამია: „მრავალი მიწაში მიძინებული გამოიღვიძებს, ზოგი საუკუნო სიცოცხლისათვის, ზოგი საუკუნო გმობისთვის და შერცხვენისთვის. მოძღვარნი ცის ნათელივით გაანათებენ, მრავალთა მომარჯულებელნი კი – ვარსკვლავებივით უკუნითი უკუნისამდე“ (დან. 12:2-3).

ხოლო ცრუ მოძღვართა შესახებ ნათქვამია: „თავიანთი სირცხვილით აქაფებულნი, ცთომილი ვარსკვლავნი, რომელთათვისაც სიბნელის წყვდიადია შენახული საუკუნოდ“ (იუდ. 1:13).

იოანეს გამოცხადებაში უფალი ბრძანებს: „საიდუმლო შვიდი ვარსკვლავისა, ჩემს მარჯვენაში რომ იხილე, და შვიდი სასანთლისა ოქროსი: შვიდი ვარსკვლავი შვიდი ეკლესიის ანგელოზებია, ხოლო შვიდი სასანთლე ეკლესიაა შვიდი“ (გამოცხ. 1:20).

უფალი იესო ქრისტე ახალ აღთქმაში თავად არის შედარებული ცისკრის ვარსკვლავთან: „ხელთა გვაქვს უმტკიცესი წინასწარმეტყველური სიტყვა და კარგად იქცევით, ისე რომ ესწრაფით მას, როგორც ბნელში მანათობელ ლამპარს, ვიდრე ირიჟრაჟებდეს და თქვენს გულებში ამობრწყინდებოდეს ცისკრის ვარსკვლავი“ (2 პეტრ. 1:19).

ანდა, თავად უფალი ბრძანებს: „მე, იესომ, მოვავლინე ჩემი ანგელოზი, რათა ეკლესიებში გიმოწმოთ ეს. მე ვარ დავითის ფესვი და მოდგმა, ცისკრის კაშკაშა ვარსკვლავი“ (გამოცხ. 22:16).

ზოგადად ვარსკვლავების გარდა, წმინდა წერილი იხსენიებს ვარსკვლავს, რომელსაც კონკრეტული ფუნქცია აკისრია: „აღმოსავლეთით მოვიდნენ მოგვნი იერუსალიმს და თქვეს: სად არის იუდეველთა ახალშობილი მეფე? ვინაიდან ვიხილეთ მისი ვარსკვლავი აღმოსავლეთში და მოვედით, რათა თაყვანი ვცეთ მას“ (მათ. 2:12).

დაბოლოს, შეიძლება ითქვას, რომ ვარსკვლავები ადამიანისაგან განყენებულ ციურ სხეულებს არ წარმოადგენენ, ისინი ადამიანის სრულყოფას ემსახურებიან და მათი შინაარსის ბიბლიური შემეცნება ადამიანს ღმერთთან აახლოებს.

ვარსკვლავებისადმი დამოკიდებულების სრული ბიბლიური სახე იოანეს გამოცხადებაშია წარმოდგენილი: აქ ვკითხულობთ, რომ მაცხოვარს შვიდი საიდუმლო ვარსკვლავი უპყრია და ეს ვარსკვლავები, თავისი შინაარსით, შვიდ ეკლესიას გულისხმობენ (გამოცხ. 1:16. 2:1). თვითონ უფალი „ცისკრის კაშკაშა ვარსკვლავია“ (გამოცხ. 22:16). გამარჯვებულებს, ანუ ჭეშმარიტ მორწმუნეებს უფალი ცისკრის ვარსკვლავს ჰპირდება (გამოცხ. 2:28), რაც თავისი შინაარსით ცათა სასუფეველს ნიშნავს. გამოცხადების ტექსტშივე ვხვდებით ვარსკვლავებს, რომლებიც ბოლო ჟამს, კატაკლიზმური მოვლენების დროს, ზეციდან ჩამოცვივდებიან (გამოცხ. 6:13; 8:10; 9:1; 12:4), არ გამოსცემენ ნათელს (გამოცხ. 8:12). აქვეა წარმოდგენილი ვარსკვლავი აფსინთა, რომლის ჩამოვარდნის შედეგად დედამიწაზე უამრავი მიწიერი წყლები მოიწამლება. ამ მძიმე პერიოდში ისრაელის შესახებ ნათქვამია: „და გამოჩნდა დიადი ნიშანი ცაში: ქალი, რომელსაც ემოსა მზე, მთვარე ესვენა ფერხთით და თორმეტი ვარსკვლავის გვირგვინი ედგა თავზე“ (გამოცხ. 12:1).

მთვარე

ბიბლიაში მთვარის მოხსენიება ძირითადად დროს უკავშირდება და ეს საოცარი არ არის, რადგან იუდაისტური კალენდარი მთვარის ციკლის მიხედვით არის აგებული. ებრაული წეს-ჩვეულებების მიხედვით თვის პირველი დღეები რელიგიურ დღესასწაულებს უკავშირდება (მაგალითისათვის ნახე, ფსალმ. 80:4), სხვამხრივ მთვარე ხანგრძლივობისა და უკვდავების შინაარსს ატარებს. უფალმა დავით მეფის შთამომავლობას ისეთი მარადჟამობა და სიმტკიცე უსურვა, როგორც მთვარეა ზეცაში დამკვიდრებული: „მკვიდრი იქნება, მთვარესავით, უკუნისამდე, და ჭეშმარიტი მოწმე ზეცაში“ (ფსალმ. 88:38). მიწიერად იესო ქრისტეც დავით მეფის შთამომავალია.

ისრაელის გარშემო მყოფი წარმართი ხალხები მთვარის თაყვანისმცემლები იყვნენ. ებრაელთათვის კი მთვარისადმი ასეთი დამოკიდებულება ყოველთვის მიუღებელი იყო. მაგალითად: იობი თავისი უცოდველობის მტკიცების დროს ასე აცხადებს: „თუ ოდესმე მეამაყოს, რომ დიდძალი მაქვს სიმდიდრე და ბევრი მოიხვეჭა ჩემმა ხელმა! თუ ოდესმე მზის ხილვისას მის ბრწყინვალებაში და დიდებულად მოარული მთვარისა იდუმალ მოცთუნებულიყოს ჩემი გული და მეკოცნოს ჩემი ხელისთვის!“ (იობ. 31:2527), აქ მთვარე, როგორც კერპთაყვანისცემის ობიექტი, მაცდური და მიუღებელია.

სხვა მხრივ მთვარე უფლის აღმშენებლობითი ქმედების ბრწყინვალე მაგალითადაა წარმოდგენილი. მეფსალმუნე მეფე შესცქერის ღამის ცაზე მოკიაფე მთვარეს და როგორც ღვთის ხელით შექმნილ, ზეცაზე განთავსებულ ქმნილებას, ისე აკვირდება: „როცა შევხედავ შენს ცას – შენი თითების ნამოქმედარს, მთვარესა და ვარსკვლავებს, რომლებიც დააფუძნე“ (ფსალმ. 8:4).

აპოკალიპსურ პერიოდში, მთვარე, დედამიწაზე მიმდინარე მოვლენების მონაწილე, აქტიურად მომქმედი კოსმოსური პირია. ამ პროცესებში მთვარე აღარ ირეკლავს და დედამიწას მზის ნათელს აღარ აწვდის (ეს. 13:10; იეზ. 32:7; იოვ. 2:10; 3:15; მათ. 24:29; მარკ. 13:24); ამავე დროს მთვარე შეიძლება სისხლის ფერით შეიმოსოს (იოვ. 2:31; საქმ. 2:20; გამოცხ. 6:12), ან შესაძლოა მთვარის მესამედი ბნელით დაიფაროს (გამოცხ. 8:12).

დაბოლოს, ჩვენ ვკითხულობთ ზეციური, ცათა სასუფევლის ქალაქის შესახებ, რომ მას აღარ ესაჭიროება მთვარის შუქი, იოანე ღვთისმეტყველი თავის გამოცხადებაში გვამცნობს: „ქალაქს არც მზე სჭირდება მანათობლად და არც მთვარე, რადგანაც ღვთის დიდებამ გაანათა იგი, ხოლო მისი სანთელი არის კრავი“ (გამოცხ. 21:23).

მზე

ფსალმუნში ვკითხულობთ: „ცათა კიდიდან არის მისი აღმოსავალი და მისი ბრუნვა – მათ კიდეებამდე, და ვერაფერი ემალება მის მხურვალებას“ (ფსალმ. 18:7).

ბიბლიის ავტორთა ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ყოფით რიტმში ადამიანებს სასწაული დაანახონ. ერთი შეხედვით ბუნებრივია, მაგრამ ფაქტია, მზე როდესაც ჩადის ადამიანებიც ისვენებენ. ამავე დროს, მზის ჩასვლასთან ერთად, სანადიროდ მტაცებლები გამოდიან და პირიქით, როდესაც მზე გამოჩნდება, მტაცებლები და ქურდბაცაცები ინიღბებიან, საშკარაოზე კი გამოდიან ადამიანები, რომლებიც სამსახურებისაკენ მიეშურებიან და თავიანთი საქმეების კეთებას იწყებენ (ფსალ. 103:20-23).

მე-18 ფსალმუნში მზის ყოველდღიური მოძრაობა, რომლითაც იგი მთელ ქვეყანას გადაკვეთს და ყველაფერს ნათლად ხედავს, ადამიანში ფიქრისა და ღვთის საქმეთა ჭვრეტის სურვილს იწვევს. შესაბამისად, მზე წარმოადგენს ღვთის ყოვლისმხილველი, სამართლიანი კანონმდებელი ბუნების სიმბოლოს.

როგორც წმინდა ფიზიკურ მოვლენას, მზეს ორმაგი ბუნება აქვს. ერთი მხრივ, ის სიცოცხლის ძირითად წყაროს და ღმერთთან ყველაზე უფრო მიახლოებულ მეტაფორას წარმოადგენს (ფსალმ. 83:12); მეორე მხრივ, ფსალმუნში ვკითხულობთ გამანადგურებელი სიცხისა და მზის დარტყმების შესახებ, რომელიც თავის მსხვერპლს თავს დღისით ესხმის და ანადგურებს (ფსალმ. 120:6; 90:6).

ადამიანის ცხოვრება და კეთილდღეობა მზის ნათელზე და სითბოზეა დამოკიდებული. ამიტომ წმინდა წერილში მზის და სხვა ციური სხეულების დაბნელება ღვთის რისხვის ნიშანია. ბიბლიის მიხედვით, თავიდან ასეთი სასჯელებით კონკრეტული ხალხები ისჯებოდნენ, მაგალითად: ბაბილონის მოსახლეობა (ეს. 13:10) ან ეგვიპტის ფარაონი და მისი ხალხი (იეზ. 32:7). შემდეგ, მზის ამგვარ ნიშნებს ბოლო ჟამის აღწერაში ვხედავთ (იოვ. 2:10, 31-ის ციტირება ხდება საქმეთა წიგნში 2:20; აგრეთვე მარკ. 13:24-25 ან გამოცხ. 6:12). მოციქული მარკოზი პირდაპირ მიუთითებს, რომ მაცხოვრის ჯვარცმის დროს „მეექვსე საათის დამდეგს მეცხრე საათამდე წყვდიადმა მოიცვა მთელი ქვეყანა“ (მარკ. 15:33), ხოლო ლუკა მახარობელი აზუსტებს: „დაბნელდა მზე და შუა ჩაიხა ტაძრის ფარდა“ (ლუკ. 23:45).

სხვა მხრივ წმინდა წერილში ჩვენ ვხედავთ მართალთა კურთხევას. განკითხვის შემდეგ წმინდანთათვის მზე დაკარგავს თავის მნიშვნელობას, რადგან მათთვის, განწმენდილთათვის ცხოვრების წყაროდ თავად უფალი გადაიქცევა. ესაია წინასწარმეტყველი ბრძანებს: „მაშინ გაფითრდება მთვარე და შერცხვება მზე, რადგან გამეფდება ცაბაოთ უფალი სიონის მთაზე და იერუსალიმში, და თავის უხუცესთა გამოაჩენს დიდებას“ (ეს. 24:23). წინასწარმეტყველი ამ აზრს ასე განავრცობს და აზუსტებს: „დღისით მზე აღარ გექნება მნათობად და არც მთვარის ბრწყინვალება გაგინათებს: უფალი გეყოლება საუკუნო მნათობად და შენი ღმერთი – შენს დიდებად. აღარ ჩაესვენება შენი მზე და შენი მთვარე აღარ დაცხრება, რადგან უფალი გეყოლება საუკუნო მნათობად და შენი გლოვის დღეები დასრულდება“ (ეს. 60:19-20).

დაბოლოს, გამოცხადებაში ნათქვამია: „ქალაქს არც მზე სჭირდება მანათობლად და არც მთვარე, რადგანაც ღვთის დიდებამ გაანათა იგი, ხოლო მისი სანთელი არის კრავი“ (გამოცხ. 21:23), და კიდევ: „ღამე აღარ იქნება იქ, ასე რომ, აღარც სანთელი დასჭირდებათ და არც მზის ნათელი, რადგანაც ღმერთი გაანათლებს მათ, და იმეფებენ უკუნითი უკუნისამდე“ (გამოცხ. 22:5). როგორც გვახსოვს, სამყაროს შესაქმე ციური მანათობლების გარეშე, ღვთის ნათელით დაიწყო და, როგორც ჩანს, ამავე ნათელით დასრულდება.

მზე, მთვარე და ვარსკვლავები

ერთად მზე, მთვარე და ვარსკვლავები ბიბლიაში სულ რაღაც ათიოდეჯერ არის მოხსენიებული, მაგრამ ეს ტრიადა ადამიანთა შემეცნებაში მუდამ აქტიურად მომქმედ სახეს წარმოადგენდა.

ცხადია, ბიბლიის ავტორებმა ყოველთვის იცოდნენ, რომ უფლის მიერ ეს მანათობლები მეოთხე დღესაა შექმნილი. უფალი ბრძანებს: „იყოს მნათობები ცის მყარზე დღისა და ღამის გასაყრელად, დროჟამის აღმნიშვნელად – დღეებისა და წელიწადებისა; იყვნენ მანათობლებად ცის მყარზე,

საუბრები ლიტერატურაზე

XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის ლიტერატურულ მიმდინარეობათა ისტორიიდან

იმპრესიონიზმი

რუბრიკას უძღვება
ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
ბელა წიფურია

ნიკო ლორთქიფანიძე

იმპრესიონიზმი იმ მიმდინარეობათა რიგს განეკუთვნება, რომელთაც განსაკუთრებული ზეგავლენა მოახდინეს ხელოვნებაზე XIX საუკუნის დასასრულიდან. თუკი მიმდინარეობათა უმრავლესობა ლიტერატურაში, პოეზიაში ისახებოდა და შემდგომ ვრცელდებოდა ხელოვნების სხვა დარგებში, იმპრესიონიზმმა დასაბამი ჰპოვა სახვით ხელოვნებაში. სწორედ ფრანგ მხატვართა სახელებთან (კლოდ მონე, ედურად დეგა, ედუარდ მანე, პიერ-ოგიუსტ რენუარი და სხვანი) არის დაკავშირებული იმპრესიონისტული მსოფლაღქმისა და მხატვრული სტილის ჩამოყალიბება. საყოველთაოდ ცნობილია იმპრესიონიზმის, როგორც ცნების, ტერმინის დამკვიდრების თარიღი – 1874 წლის 15 აპრილი. ამ დღეს ფრანგ მხატვრათა, „დამოუკიდებელთა“ გამოფენაზე სხვა ფერწერულ ტილოთა შორის, რომლებშიც უკვე ცხადად იგრძნობოდა ახლებური მსოფლგანცდა და სტილი, წარმოდგენილი იყო კლოდ მონეს სურათი „შთაბეჭდილება. ამომავალი მზე“. სწორედ შთაბეჭდილება (ფრანგ. – Impresion) გვევლინება ამოსავალ პრინციპად იმპრესიონისტული მსოფლაღქმისა. ნიშანდობლივია, რომ იმპრესიონიზმი განისაზღვრება არა როგორც მსოფლმხედველობის, არამედ როგორც მსოფლაღქმის ტიპი, რამდენადაც მსოფლმხედველობა გულისხმობს გარკვეულ სისტემას, პრინციპთა და შეხედულებათა ერთიანობას გარესამყაროსთან, პიროვნების შინაგან სამყაროსთან, ღმერთთან მიმართებაში; მსოფლაღქმა კი შეიძლება გულისხმობდეს მხოლოდ უშუალო განცდას, სამყაროს შეგრძნებისა და აღქმის პრინციპს. ამდენად, თუკი შევეცდებით, გავიგოთ იმპრესიონიზმის, როგორც მსოფლაღქმის არსი, უპირველესად უნდა გავიაზროთ, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება გარესამყაროსთან მიღებულ პირველ, უშუალო შთაბეჭდილებას ამ მიმდინარეობის მხატვრულ სისტემაში.

უპირველეს ყოვლისა, უნდა გვახსოვდეს, რომ იმპრესიონიზმის თეორია ყალიბდება XIX ს-ის დასასრულის ევროპულ კულტურაში; ამ ეპოქის ადამიანის წინაშე კი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად ისახება ჭეშმარიტების, სამყაროს არსის შეცნობა. მისთვის თითქმის მიუწვდომელია ჭეშმარიტებასთან ზიარების სარწმუნოებრივი გზა. მეორე მხრივ, ამ ხანებში უკვე ნათლად არის გააზრებული, რომ მხოლოდ გონისმიერი, ინტელექტუალური საწყისის მოღვაწეობით ადამიანი ვერ შეიცნობს სამყაროსეულ ჭეშმარიტებას. სწორედ ამიტომ ამ პერიოდის ხელოვნება (სიმბოლიზმი, იმპრესიონიზმი) ცდილობს, უარყოს რაციონალიზმის პრინციპები და შემოქმედის გრძნობისმიერი, ემოციონალური მოღვაწეობის გზით ჩასწვდეს ჭეშმარიტებას. მაგრამ მან შეიძლება აირეკლოს, სიმბოლურად გამოსახოს სულიერი სამყაროს კანონზომიერებანი. ყოველ მატერიალურ საგან-მოვლენაში შეგვძლებოდა ზემატერიალური სამყაროს გამოძახილის აღქმა, მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ ჩვენი ზეცნობიერება შეუკავშირდეს ზემატერიალურ ჭეშმარიტებას, წინა პლანზე წამოიწევს მატერიისა და ცნობიერების კავშირი; რამდენადაც ადამიანის გონების, ცნობიერების ქმედება გაცილებით უფრო ხელშესახებია, ვიდრე მისი ქვეცნობიერი ან ზეცნობიერი საწყისისა, ამიტომ იმპრესიონისტული ხელოვნება ეძებს გზას ცნობიერებისაგან თავის დახსნისა, ზეცნობიერებასთან პიროვნული კავშირის აღდგენისა. სწორედ ამ თვალსაზრისით მისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს გარესამყაროსაგან, თითოეული საგან-მოვლენისაგან მიღებული პირველი, უშუალო შთაბეჭდილება, ის იმპულსი, რომელიც ჯერ არ გამხდარა გაცნობიერების, გააზრების საგანი. პიროვნების შინაგან არსებაში პირველი შთაბეჭდილება წარმოიშობა მანამ, სანამ ამოქმედდება ცნობიერება, დაიწყება საგან-მოვლენის ათვისება გონისმიერი ძალებით. ამდენად, ამგვარი შთაბეჭდილება უფრო ახლოს დგას ზემატერიალურ არსთან, იდეასთან. ამასთანავე, პირველი შთაბეჭდილება წამიერია, მეყსეული; ადამიანის მიერ ჭეშმარიტების, მარადიულობის აღქმის ინტუიციური პროცესიც არ შეიძლება იყოს დროში განგრძობადი. ჭეშმარიტება წამიერად გამოუბრწყინდება პიროვნებას. იქნებ, სწორედ პირველი თშაბეჭდილების მიღებისას ეზიარება იგი მარადიულობას, ჭვრეტს მატერიალურ საგან-მოვლენებში არეკლილ ზემატერიალურ არსს?! სწორედ ამიტომ იმპრესიონიზმის ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპად ცხადდება პირველი, წამიერი შთაბეჭდილების აღბეჭდვა, უკვდავყოფა ხელოვნების ქმნილებაში. მხატვრის მიზანი ხდება საკუთარ სუბიექტურ დაკვირვებათა, შთაბეჭდილებათა, განცდათა და შეგრძნებათა უშუალო ფიქსაცია ნაწარმოებში.

მოვლენის ობიექტური არსი ძნელად დასანახია მოდერნისტულ მსოფლმხედველობაში. საზოგადოდ, შეუძლებლად ცხადდება ობიექტური შემეცნება, პიროვნების სუბიექტურ თვალთახედვას კი განუსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება. ამ პრინციპს საფუძვლად დაედო XIX საუკუნის დიდი გერმანელი ფილოსოფოსის ა. შოპენჰაუერის ნააზრევი. მასვე ეკუთვნის ფორმულირება: ***„სამყარო არის ჩემი წარმოდგენა“.*** ამ აზრის თანახმად კი ერთადერთი რეალობა პიროვნებისათვის არის არა მისგან განყენებული ობიექტური მოვლენები, არამედ საკუთარი შეხედულებანი გარესამყაროს შესახებ, საკუთარი წარმოდგენები. სწორედ ამ თეორიის საფუძველზე იმპრესიონიზმში ხელოვანის შეხედულება თუ წარმოდგენა, მისი პირადი შთაბეჭდილება განსაზღვრავს შემოქმედებით პროცესს. მხატვარი ცდილობს, ამ პროცესში სწორედ ის თვისობრივი, არსებითი ნიშნები გამოარჩიოს, რომლებიც აღუქმელი რჩება ჩვეული მზერით, მაგრამ თვალს ხვდება საგან-მოვლენათა სულიერი თვალთახედვით განჭვრეტისას. სწორედ ამიტომ იმპრესიონისტულ ხელოვნებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ცალკეულ დეტალებსა და ნიუანსებს. ის, რაც რეალისტური თვალთახედვით უმნიშვნელოა და არაარსებითი, აქ საგანგებოდ მოიძიება და მოქმედებს მხატვრული იდეის სასარგებლოდ. ამგვარი დეტალი შეიძლება მიგვანიშნებდეს უაღრესად ღრმა საზრისზე.

ალბათ, მსოფლაღქმის ამგვარი წესის შესანიშნავი ილუსტრაციაა ნიკო ლორთქიფანიძის „სურათი სოფლად“. (აქვე უნდა ითქვას, რომ ნ. ლორთქიფანიძე სწორედ ის ავტორია, რომელიც XX ს-ის დასაწყისის ქართულ მწერლობაში თანამიმდევრულად ახორციელებს იმპრესიონიზმის თეორიას; ცალკეული სკოლა კი ამ მიმდინარეობის საფუძველზე ჩვენში არ შექმნილა). ამ მინიატურაში მწერალი თავის სათქმელს სულ რამდენიმე დეტალის მეშვეობით გადმოგვცემს, რომლებიც საოცრად ცოცხალ, ვიზუალურად აღსაქმელ მხატვრულ სამყაროს ქმნის: *„ყმაწვილი ქალი ღარის წინ, ქვაზე ჩამომჯდარა. თავსაფარი გადავარდნია. მაყვალსავით შავი თმა ბეჭზე სცემს, ქვაზე ეკრაკლნება და გვერდში დადებულს, პატარა ფუთას სწვდება. მთელი სხეულით, მიხვრა-მოხვრითაც კი გამოიხატება უმწვერვალესი სიყვარული და ყურადღება პაწია არსებისადმი, რომელიც მიყრდნობია თეთრს, სიცოცხლით სავსე, განსპეტაკებულს მკერდს და თითქმის მიძინებული სწოვს ძუძუს“.* ავტორისეული თვალთახედვის კვალდაკვალ მკითხველიც ცდილობს, შეიგრძნოს ის ფარული მშვენება და თანხმობა, რაც ამ სურათშია გამოხატული. ამგვარი განცდების მეშვეობით ის ეზიარება სამყაროს სიღრმისეულ კანონზომიერებას, რომლის არსიც, შესაძლოა, ძალზე ძნელად აღსაქმელიც იქნებოდა ცნობიერი, განსჯითი გზით, მაგრამ ნათელი, შინაგანად შესაგრძნობია პირველი შთაბეჭდილების ფაქიზ წამებში. მწერალი იმასაც მიგვანიშნებს, რომ ამგვარი მშვენება დაფარული, მიუწვდომელი ხდება მაშინ, როცა ამოქმედდება ცნობიერი საწყისი: ***„– გამარჯობა, დობილო! წამომცდება რაღაც ეშმაკურად – აჰ! – შეკრთება ქალი და ცდილობს, საჩქაროთ შეიკრას გული, ჩამოუშვას კაბა, სახელოთი დაფაროს აკოტავებული მკლავები და მიმალოს უბეში პაწია. განა რომელიმე მათგანი დასამალავია?“***

ქართველი მკითხველისათვის ნიკო ლორთქიფანიძის ნოველებიდანვე ნაცნობია იმპრესიონიზმის სტილური ნიშნები: მკვეთრად გამოხატული ფორმის უგულებელყოფა; მცდელობა, გამოსახოს სათქმელი, ასახოს საგან-მოვლენები, ერთი შეხედვით, შეუკავშირებელი შტრიხებითა და დეტალებით, რომლებიც მთლიანობაში აღქმისას ამჟღავნებენ შინაგან კავშირს, ერთიანობას.

იმპრესიონისტულ სტილს მიმართავენ განსხვავებული მსოფლმხედველობისა და მრწამსის მწერლებიც ცალკეულ თხზულებებში, რამდენადაც მსოფლშეგრძნების გარკვეულ ეტაპზე ამგვარი ნიშნები ზუსტად გამოხატავს ავტორისა თუ პერსონაჟის შინაგან მდგომარეობას. იმპრესიონისტული სტილი გვხვდება რუსი მწერლების – ანტონ ჩეხოვისა და ივან ბუნინის შემოქმედებაში. XIX საუკუნის მიწურულს ფრანგი მწერლების, ძმების – ედმონდ და ჟიულ დე გონკურების შემოქმედებაში გამოიკვეთა ე.წ. ფსიქოლოგიური იმპრესიონიზმი, რომლის სტილს თავიანთ თხზულებებში მიმართავდნენ ისეთი განსხვავებული ხედვის მწერლები, როგორიცაა თომას მანი და შტეფან ცვაიგი გერმანიაში, ემილ ზოლა საფრანგეთში, კნუტ ჰამსუნი ნორვეგიაში. ავსტრიაში ჩამოყალიბდა იმპრესიონისტ მწერალთა ვენის ჯგუფი, რომელშიც მოღვაწეობდნენ მწერლები, დრამატურგები ჰერმან ბარი, არტურ შნიცლერი. რასაკვირველია, იმპრესიონისტული მსოფლაღქმა განიხილება მოდერნიზმის ზოგად პრინციპებთან მთლიანობაში, მაგრამ განსაკუთრებულ სიახლოვეს ეს მიმდინარეობა სიმბოლიზმთან ამჟღავნებს. რისი დასტურიცაა სიმბოლისტი პოეტების: პ. ვერლენის, კ. ბალმონტის, ი. ანენსკის შემოქმედება.

საუბრები ბიბლიაზე

რომ გაანათონ მიწა. და იქმნა ასე. გააჩინა ღმერთმა ორი მთავარი მნათობი, – დიდი მნათობი დღის განმგებლად და მცირე მნათობი ღამის განმგებლად – და ვარსკვლავები. დასხა ისინი ღმერთმა ცის მყარზე, რომ გაენათებინათ მიწა, განეგოთ დღე და ღამე, გაეყარათ ნათელი და ბნელი. დაინახა ღმერთმა, რომ კარგი იყო. იყო საღამო, იყო დილა – მეოთხე დღე“ (დაბ. 1:14-19).

და კიდევ: „ასე ამბობს უფალი, რომელიც გვაძლევს მზეს დღის გასანათებლად, მთვარისა და ვარსკვლავთა წესებს ღამის გასანათებლად, რომელიც აღძრავს ზღვას და აბობოქრებს მის ტალღებს და რომლის სახელი ცაბაოთ უფალია. თუ ეს წესები მომეშალა, ამბობს უფალი, მაშინ ისრაელის მოდგმაც შეწყდება და აღარ მეყოლება სამუდამოდ ჩემს ერად“ (იერ. 31:35). იერემიას წინასწარმეტყველების ამ მცირე მონაკვეთში ნათლად ჩანს რა უდიდესი დანიშნულება აქვს ამ მნათობთა სიმრთელესა და არსებობას ადამიანის ცხოვრებისა და სულიერი განვითარებისათვის.

მზის, მთვარისა და ვარსკვლავების ჭვრეტა ღვთის ძალაუფლებაზე მეტყველებს და ადამიანში სიმშვიდის გრძნობას აღძრავს; ამავდროულად, ეს სახილველი გვახსენებს ბოლო ჟამის აპოკალიფსური მოვლენების გარდუვალობას და იმის გამო ვმშვიდდებით, რომ მთელი ეს სივრცე, ყველა მოსახდენი მოვლენა უფლის ხელთაა და უფალია აქ განმკარგველი.

მოსე წინასწარმეტყველი აფრთხილებს ისრაელსა და ყველა ღვთისმორწმუნეს, რომ „ცისკენ ახედვისას და მზის, მთვარისა და ვარსკვლავების, ცის მთელი მხედრობის დანახვისას არ შეცდე და თაყვანი არ სცე მათ, არ ემსახურო მათ, რომლებიც შეუქმნა უფალმა, შენმა ღმერთმა, ყველა ხალხს, მთელს ცისქვეშეთში“ (რჯლ. 4:19).

და როგორც ფსალმუნის ავტორი ბრძანებს: ადიდეთ მხოლოდ უფალი, „ადიდეთ უფალი ზეციდან, ადიდეთ იგი სიმაღლეებში. ადიდეთ იგი, ყოველნო ანგელოზნო მისნო, ადიდეთ იგი, ყოველნო ძალნო მისნო. ადიდეთ იგი, მზეო და მთვარევ, ადიდეთ იგი, ყოველნო შუქურვარსკვლავნო. ადიდეთ იგი, ცანო ცათანო, და წყლებო, რომელნიც ცათა მაღლა ხართ“ (ფსალმ. 148:3).

მეთოდიკა

ელექტროლიტური დისოციაციის სწავლების შესახებ

ქიმიის სწავლების მეთოდისტად ჩემი ოთხწლიანი მუშაობის პერიოდში უამრავი მასწავლებელი გავიცანი. მათგან მხოლოდ რამდენიმე ატარებდა გაკვეთილზე ქიმიურ ცდებს. თუ რითი იყო ეს გამოწვეული, ერთხელ უკვე დავწერე და გამოვაქვეყნე, ახლა აღარ გავიმეორებ. როგორც მეთოდისტი, ვცდილობდი დავხმარებოდი მასწავლებლებს: დახელოვნების ინსტიტუტში ჩატარებული მაქვს ლექციები „ქიმიური ექსპერიმენტის ჩატარების ტექნიკა“, სადაც მასწავლებლებს თავის ხელით ვაკეთებინებდი მათთვის საინტერესო ქიმიურ ცდებს; ვაქვეყნებდი მეთოდურ სტატიებს სხვადასხვა მეთოდურ ჟურნალ-გაზეთებში და ა.შ. მას მერე დიდი დრო გავიდა და ეს სენი – ქიმიის გაკვეთილის უცდებოდ ჩატარება – მეგონა წარსულს ჩაბარდა, მაგრამ ბოლო ხანს გაგებულმა ფაქტებმა კვლავ გამიჩინა სურვილი, კიდევ ერთხელ შემეხსენებინა ჩემი კოლეგებისთვის მათი მოვალეობები. ფაქტები კი შემდეგია:

ამჟამად IX კლასმა დაიწყო „ელექტროლიტური დისოციაციის თეორიის“ შესწავლა. სხვადასხვა სკოლის ოთხ IX-კლასელს გავესაუბრე და აღმოჩნდა, რომ არც ერთ მათგანს არც ერთი ცდა არ უნახავს ამ მასალასთან დაკავშირებით. მეგონა, დღევანდელ დღეს, კომპიუტერის ეპოქაში, მასწავლებლები ფილმს მაინც აჩვენებდნენ გაკვეთილზე, მაგრამ ამაზედაც თავი არ შეუწუხებიათ. რომც შეეწუხებინათ, ცოცხალ ექსპერიმენტს მაინც ვერაფერი შეედრება.

მე თვითონ, ჩემი გაკვეთილების შედეგებიდან გამომდინარე, ბევრჯერ დავრწმუნდი, რომ მოსწავლეს თავის თვალით დანახული და თავის ხელით გაკეთებული ცდები წლის ბოლოსაც კარგად ახსოვს, ხოლო ზეპირად გადაცემული მასალა სულ მალე ავიწყდება ან საერთოდ ვერ ითვისებს მას. ყოველთვის ვცდილობდი, ამაში მასწავლებლებიც დამერწმუნებინა და ექსპერიმენტის ჩატარების სიადვილეც დამენახვებინა.

ხელსაწყო, რომლითაც საზღვრავენ ნივთიერებების ელექტროგამტარობას, უმარტივესია და თიქმის ყველა სკოლაში არსებობდა. ახლა რომც არ არსებობდეს, საკმარისია მასწავლებელს გაუჩნდეს სურვილი ხსნართა ელექტროგამტარობის ჩვენებისა, რომ თვითონ შეუძლია ძალიან ადვილად ააწყოს ეს ხელსაწყო. სახელმძღვანელოებში ხომ მშვენიერი ფოტოები და ნახატებია მოცემული.

ზოგ მასწავლებელს, განსაკუთრებით ქალებს, პანიკური შიში აქვს ელექტროდენთან დაკავშირებული ცდებისა. მაშინ ასე მოიქეცით: გამოაცხადეთ კლასში, რომ ვისაც შეუძლია ამ ხელსაწყოს აწყობა, უახლოეს დღეებში დაამზადოს და მოიტანოს სკოლაში. ნებისმიერ კლასში ყოველთვის მოიძებნება მოსწავლე, რომელიც სიამოვნებით შეასრულებს ამ ტიპის დავალებას (ცდებიც მასვე შეასრულებინეთ, გამოიყენეთ მსგავსი მეთოდები და უამრავ საინტერესო მოსწავლეს აღმოაჩენთ, რომელიც შემდეგ შეიძლება თქვენი მარჯვენა ხელი გახდეს კლასში.

ხსნარების ელექტროგამტარობის შესამოწმებელი ხელსაწყო კიდევ უფრო მარტივიც შეიძლება ააწყოთ, ვიდრე სახელმძღვანელოშია მოცემული. გთავაზობთ რამდენიმე უმარტივეს ნიმუშს (იხ. სურათები). ელექტროდები შეიძლება იყოს ნახშირის ან სპილენძის, ან პირდაპირ გამტარის ბოლოები ჩაყავით საკვლევ ხსნარში. ნათურები შეიძლება იყოს სხვადასხვა სიმძლავრის (გააჩნია, დენის წყაროდ რას გამოიყენებ), მაგრამ ჯობია ჯიბის ფანრის ან ნაძვის ხის ნათურის გამოყენება, დენის წყარო კი იყოს 1-2 აკუმულატორი ან ელექტროქსელში ჩართული ტრანსფორმატორი, რომელიც 3-4 ვოლტ ძაბვას იძლევა. შეიძლება ელექტროქსელი არც გამოიყენოთ. მაშინ 3,5 ან 9,5-ვოლტიანი ბატარეა ჩართეთ თქვენს წრედში.



კიდევ ერთი მითითება მინდა მოგცეთ თვითონ ცდების ჩატარებასთან დაკავშირებით: ა) ერთი ჭურჭლიდან მეორეში ელექტროდების გადატანამდე კარგად გარეცხეთ და გაამშრალეთ ელექტროდები (ან გამტარის ბოლოები). ამ დროს წრედი აუცილებლად განრთული უნდა იყოს.

ბ) შაქრის ხსნარში დენი რომ არ გაივლის (ე.ი. ნათურა არ აინთება), მოსწავლეს შეიძლება წრედის არაგამართულობა ეგონოს. ამიტომ მაშინვე დაარწმუნეთ საპირისპიროში: ან ელექტროდების ბოლოები მიადეთ ერთმანეთს, ან ამ ბოლოებს შეახეთ ლითონის რაიმე ღერო (ხისტარიანი დანა, გრძელი ლურსმანი ჯოხში ან სხვა რაიმე გამტარი), რითაც წრედი შეიკვრება და ნათურა აინთება.

გ) იმის საჩვენებლად, რომ ხსნარის ელექტროგამტარობა დაკავშირებულია ხსნარში თავისუფალი იონების არსებობით, შეიძლება ჩატარდეს ცდა:

სხვადასხვა ჭურჭელში ჩასხმულ $Ba(OH)_2$-ისა და H_2SO_4-ის ხსნარებში გაატარეთ ელექტროდენი. $Ba(OH)_2$ ფენოლფტალეინით შეაფერადეთ. ორივე შემთხვევაში ნათურა აინთება. ამის შემდეგ ელექტროდები კვლავ $Ba(OH)_2$-იან ჭიქაში ჩადეთ და გოგირდმჟავიანი ჭიქიდან ბარიუმის ტუტიან ჭიქაში წვეთ-წვეთობით ჩაასხით ხსნარი. თანდათან გამოიყოფა ნალექი, ხოლო ნათურის ნათება ნელ-ნელა იკლებს, ბოლოს კი სულ ჩაქრება და ჟოლოსფერიც გაქრება. თუ გააგრძელებთ H_2SO_4-ის წვეთ-წვეთობით დამატებას, ნათურა ნელ-ნელა კვლავ აინთება. ცდა უფრო ეფექტური იქნება, თუ გოგირდმჟავას ხსნარს საწვეთურში გადაიტანთ და ისე ჩააწვეთებთ ტუტის სხნარში. ასე უფრო კარგად დაარეგულირებთ წვეთების ჩამატებას.

ამ ცდასთან დაკავშირებით ჯერ მოსწავლეებს გამოათქმევინეთ აზრი, თუნდაც მცდარი, შემდეგ კი, რა თქმა უნდა, თქვენ ახსენით მოვლენა.

დაბოლოს, მინდა ჩემი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოცდილება გაგიზიაროთ. გასაგებია, რომ ცდების მომზადებას დიდი დრო სჭირდება. შეიძლება თქვენი პირადი პრობლემებიც დიდ დროს მოითხოვდეს და სკოლისთვის ცოტა დრო გრჩებოდეთ ან გაკვეთილების შემდეგ ქიმიის კაბინეტში მარტო დარჩენაც სულაც არ გსიამოვნებდეთ, მაგრამ თუ მოსწავლეებს გამოიყენებთ, გაცილებით შეიმსუბუქებთ შრომას. საქმეც ხალისიანად წავა, დროც ნაკლები დაგეხარჯებათ და მოსწავლეებიც კმაყოფილები დარჩებიან.

საინტერესოდ ჩატარებული გაკვეთილი მოსწავლეებისთვის და თქვენთვისაც, ისეთივე სასიამოვნოა, როგორც კარგი სპექტაკლის ნახვა, კარგი მუსიკის მოსმენა, კარგი წიგნის წაკითხვა, მწვერვალის დაპყრობა და სხვა სამუდამოდ დასახსომებელი მოვლენა.

საინტერესო გაკვეთილების ჩატარების შემდეგ თქვენს კლასებში გაჩნდება სიყვარული და პატივისცემა ქიმიის საგნისადმი, რაც ასე იშვიათია დღეს სკოლაში, ჩვენდა სამწუხაროდ.

გისურვებთ წარმატებებს.

მარიამ სურგულაძე

ბიოლოგიის გაკვეთილი. IX კლასი

გაკვეთილის თემა: სქესთან შეჭიდული გენების დამემკვიდრება

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლემ შეძლოს სქესთან შეჭიდული გენების დამემკვიდრების მექანიზმის დახასიათება ჰემოფილიის და დალტონიზმის მაგალითზე; აღწეროს აღნიშნული დაავადებების სიმპტომები, დამემკვიდრების შედეგები წარმოადგინოს პენეტის ცხრილების სახით.

გამოყენებული მასალა: თაბახის ფურცლები, სურათები ჰემოფილიით და დალტონიზმით დაავადებული ადამიანების გამოსახულებით.

გაკვეთილის დრო: 45 წუთი.

გაკვეთილის მსვლელობა

მოსწავლეებს ვთხოვ, გაიხსენონ, რომ ადამიანს აქვს 23 წყვილი ქრომოსომა, მათგან 22 წყვილი ქალსა და მამაკაცში მსგავსია, ხოლო 23-ე წყვილი განსხვავებულია და მათ სასქესო ქრომოსომებს უწოდებენ. ქალის სასქესო ქრომოსომები ფორმით იდენტურია და X-ით აღინიშნება, ხოლო მამაკაცის სასქესო ქრომოსომებიდან ერთი ქალის X-ქრომოსომის იდენტურია, ხოლო მეორე ქრომოსომის ფორმა განსხვავებულია და მას Y-ქრომოსომას უწოდებენ, ანუ ქალს აქვს ორი სასქესო X-ქრომოსომა (XX), ხოლო მამაკაცს – (XY), (იკითხება იქსი და იქსი, იქსი და იგრეკი). Y ქრომოსომა X ქრომოსომასთან შედარებით ნაკლებ გენებს შეიცავს, მასში არსებული გენების უმრავლესობა ჩანასახის მამაკაცად ჩამოყალიბებაზეა პასუხისმგებელი. მეიოზის პროცესში გამეტების ჩამოყალიბებისას ხდება ქრომოსომათა რაოდენობის განახევრება. მდედრობითი გამეტები ყველა X-ქრომოსომას შეიცავს, ხოლო მამრობითი გამეტების ნახევარში X-ქრომოსომაა, ხოლო ნახევარში – Y-ქრომოსომა, შედეგად, შთამომავლობაში გოგონა ერთ X-ქრომოსომას დედისგან, ხოლო მეორეს მამისგან ღებულობს, ვაჟი კი – X-ქრომოსომას ღებულობს დედისგან, ხოლო Y-ს – მამისგან. X-ქრომოსომის გენების ნაწილს Y-ქრომოსომაში ჰომოლოგიური უბნები არ გააჩნია, აქედან გამომდინარე, თუ ქალის X ქრომოსომის ამ უბნებში მოთავსებულია მუტანტური გენი, მისი მოქმედება აუცილებლად გამოვლინდება ვაჟიშვილში.

სასქესო ქრომოსომაში მოთავსებული მუტანტური გენით გამოწვეული დაავადებების ერთ-ერთი მაგალითია ჰემოფილია. ამ დაავადების დროს ორგანიზმის სისხლის შედედების უნარი დაქვეითებულია, დაავადებულს აღენიშნება მიდრეკილება სისხლდენისა და სისხლჩაქცევების მიმართ (დაფაზე ვკიდებ ჰემოფილიით დაავადებულის სურათებს). ჰემოფილია X-ქრომოსომასთან შეჭიდული დაავადებაა და ამ დაავადებით უპირატესად მამაკაცები არიან ავად, რომლებმაც მუტანტური გენი დედისგან მიიღეს, თუმცა, იშვიათ შემთხვევაში, ჰემოფილია ქალებშიც არის აღწერილი.

ჰემოფილიის გენის მტარებელი ქალი X^HX^h ფენოტიპურად ჯანმრთელია, ვინაიდან რეცესიული h გენი დომინანტური H გენის არსებობისას თავის მოქმედებას ვერ ავლენს. მეიოზის პროცესში ასეთი ქალის ორგანიზმში წარმოქმნილი გამეტების ნახევარი მუტანტურ h-გენს შეიცავს.



(7 წთ.)

შემდეგ კლასს დავყოფ ჯგუფებად და ვთხოვ, განსაზღვრონ ჰემოფილიის გამოვლენის ალბათობა შთამომავლობაში მშობლების გენოტიპიდან გამომდინარე. მოსწავლეებმა ყველა კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეადგინონ პენეტის ცხრილი და იმსჯელონ შთამომავლობის გენოტიპისა და ფენოტიპის შესახებ:

I ჯგუფის დავალება: ♀ X^HX^h x ♂ X^HY

(ჰემოფილიის გენის მტარებელი ქალის და ჯანმრთელი მამაკაცის ქორწინების შედეგად დაბადებული ბავშვების შესაძლო გენოტიპის და ფენოტიპის ანალიზი)

II ჯგუფის დავალება: ♀ X^HX^h x ♂ X^hY

(ჰემოფილიის გენის მტარებელი ქალის და ჰემოფილიით დაავადებული მამაკაცის ქორწინების შედეგად დაბადებული ბავშვების გენოტიპის და ფენოტიპის ანალიზი).

III ჯგუფის დავალება: ♀ X^HX^h x ♂ X^hY

(ჯანმრთელი ქალის და ჰემოფილიით დაავადებული მამაკაცის ქორწინების შედეგად დაბადებული ბავშვების გენოტიპის და ფენოტიპის ანალიზი) (5 წთ.)

პრეზენტაციები: (15 წუთ.)

I ჯგუფის შედეგები შემდეგნაირად გამოიყურება:



F_1	♀ \ ♂	$X^{(H)}$	Y
	X^H	X^HX^H	X^HY
	X^h	X^hX^H	X^hY

1. X^HX^H – ფენოტიპურად და გენოტიპურად ჯანმრთელი გოგონა;

2. X^hX^H – ჰემოფილიის გენის მტარებელი გოგონა;

3. X^HY – ჯანმრთელი ვაჟი;

4. X^hY – ჰემოფილიით დაავადებული ვაჟი.

თეორიულად, დაბადებული ვაჟების ნახევარი ჰემოფილიით იქნება დაავადებული, ხოლო გოგონების ნახევარს ექნება რეცესიული h-გენი.

II ჯგუფის შედეგები:



F_1	♀ \ ♂	X^h	Y
	X^H	X^HX^h	X^HY
	X^H	X^hX^h	X^hY

1. X^HX^h – ჰემოფილიის გენის მტარებელი გოგონა;

2. X^hX^h – ჰემოფილიით დაავადებული გოგონა;

3. X^HY – ჯანმრთელი ვაჟი;

4. X^hY – ჰემოფილიით დაავადებული ვაჟი.

აღნიშნული ქორწინების შედეგად დაბადებული ბავშვების 50% ჰემოფილიით იქნება ავად. ავად იქნება როგორც ვაჟი, ასევე გოგონაც. ასეთი ქორწინების შედეგად ფენოტიპურად და გენოტიპურად ჯანმრთელი ბავშვის დაბადების ალბათობა 25%-ს შეადგენს.

III ჯგუფის შედეგები:



F_1	♀ \ ♂	X^h	Y
	X^H	X^HX^h	X^HY
	X^H	X^hX^h	X^hY

1. X^HX^h } ყველა გოგონა ფენოტიპურად ჯანმრ-
2. X^HX^h } თელია, მაგრამ h-გენის მტარებელია.

3. X^HY } ყველა ვაჟი ჯანმრთელია.
4. X^hY }

პრეზენტაციების შემდგომ მოსწავლეებს მოვუთხრობ, რომ ჰემოფილია პირველად ინგლისის სამეფო კარზე გამოვლინდა. როგორც აღმოჩნდა, ამ გენის მტარებელი დედოფალი ვიქტორია იყო. ეს ფაქტი მაშინ გამოვლინდა, როდესაც დედოფალ ვიქტორიას მერვე შვილი – ლეოპოლდი შეეძინა. შემდგომში, „სამეფო დაავადებამ“ რუსეთის სამეფო დინასტიაშიც შეაღწია, რადგანაც დედოფალ ვიქტორიას შვილიშვილი ალექსანდრა ნიკოლაი II-ს მეუღლე გახდა. მათ შეეძინათ შვილი ალექსი, რომელიც ჰემოფილიით იყო ავად. (3 წთ.)

შემდეგ მოსწავლეებს ვთხოვ, იმსჯელონ, თუ რა მნიშვნელობა აქვს გენეტიკური დაავადებების შესწავლას. იმართება დისკუსია. (3 წთ.)

დისკუსიის შემდეგ მოსწავლეებს ვეტყვი, რომ სქესთან შეჭიდული გენებით შესაძლოა სხვა დაავადებებიც იყოს გამოწვეული: მაგალითად, დალტონიზმი. დალტონიზმი დაავადებაა, რომლის დროსაც ფერის შეგრძნებები მოშლილია. ამ დაავადებითაც უპირატესად მამაკაცები არიან ავად, რადგანაც, ისევე, როგორც ჰემოფილიის შემთხვევაში, მუტანტურ გენს ისინი დედისგან ღებულობენ (1 წთ.)

შემდეგ მოსწავლეებს ვთხოვ, ჯგუფებში შეადგინონ შთამომავლობის ყველა შესაძლო გენოტიპი მშობლების შემდეგი გენოტიპების გათვალისწინებით:

1. ♂ XY – ნორმალური მხედველობის მამაკაცი;
♀ $^+$XY – დალტონიზმის გენის მტარებელი ქალი.
2. ♂ $^+$XY – დალტონიზმით დაავადებული მამაკაცი;
♀ XX – ნორმალური მხედველობის ქალი.
3. ♂ $^+$XY – დალტონიზმით დაავადებული მამაკაცი;
♀ $^+$XX – დალტონიზმის გენის მტარებელი ქალი.

(5 წთ.)

პრეზენტაციები: (6 წთ.)

გაკვეთილის დასასრულს მოსწავლეებს ვეტყვი, რომ მიუხედავად იმისა, რომ X და Y ქრომოსომებს შორის დიდი განსხვავებაა, ისინი მეიოზში ერთმანეთთან კონიუგირებენ, ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ მათ აქვთ მსგავსი უბნები მსგავსი გენების ლოკალიზაციით.

მოსწავლეებს მივცემ შესაბამის საშინაო დავალებას.

ნატა ბიჭიკაშვილი
ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,ბაქსუდის სკოლა

„ქართული ქორეოგრაფია“ რამიშვილისეული ნიუანსებით

პირველი გვერდიდან

ლელო ჭიჭინაძე, საგამოფენო პროგრამების ხელმძღვანელი: *„ილიკო სუხიშვილმა და ნინო რამიშვილმა,1945 წელს, ქართულ საცეკვაო ფოლკლორზე დაყრდნობით, ჩამოაყალიბეს ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი. მათ ქართულ ცეკვაში ბევრი ახალი ნიუანსი შეიტანეს, შემდეგ ანსამბლს ქართული ნაციონალური ბალეტი ეწოდა. „სუხიშვილებმა“ მთელი მსოფლიო მოიარეს და წლების განმავლობაში მსოფლიოში არაოფიციალური ელჩები იყვნენ საქართველოდან. მათ მთელ მსოფლიოს გააცნეს არა მარტო ქართული ცეკვა, არამედ ქართველი ერიც. დღევანდელი გამოფენა ნინო რამიშვილის 100 წლის იუბილეს მივუძღვენით. ექსპოზიციაში წარმოდგენილია ნინო რამიშვილის საღამოს კაბები და საცეკვაო კოსტიუმები – აჭარული, სადარბაზო, მთიულური... მნიშვნელოვანია აგრეთვე, ანსამბლის უცვლელი მხატვრის – სოლიკო ვირსალაძის მიერ შესრულებული საცეკვაო კოსტიუმების ესკიზები, წელს მისი 100 წლის იუბილეცაა. ბუნებრივია, ამ გამოფენაზე წარმოვადგინეთ სოლიკო ვირსალაძის ესკიზები ქართული ცეკვისათვის. ის ძალიან მნიშვნელოვანი მხატვარი იყო და დიდი წვლილი მიუძღვის ქართული ცეკვის კოსტიუმის განვითარებაში. სიცოცხლის ბოლომდე „სუხიშვილების“ მუდმივი მხატვარი იყო, გადა ამისა, მუშაობდა მოსკოვის დიდ თეატრში, ლენინგრადის თეატრში, მინვეული იყო პარიზის გრანდოპერაში, მილანის ლასკალაში და ა.შ. ბატონ სოლიკოსა და „სუხიშვილების“ ხელმძღვანელებს არაჩვეულებრივი მუშაობის სტილი ჰქონდათ, გენიალური მხატვარი ჯერ ცეკვას ნახავდა და მერე აკეთებდა ესკიზებს, მაგრამ ისეთი შემთხვევებიც იყო, როდესაც სოლიკო ვირსალაძე ქმნიდა ესკიზებს და შემდეგ ქართული ცეკვის ჯადოქრები მას ცეკვას არგებდნენ, ანუ სპეციალურად ამ კოსტიუმებისთვის დგამდნენ ცეკვებს. კიდევ ერთი ფაქტორი მინდა აღვნიშნო, რომელიც ამ სამ გენიალურ ადამიანს აერთიანებდა – სამივე იტალიიდან ჩამოსული ბალერინას მარია პერინის მიერ თბილისში დაარსებულ პირველ ქართულ საბალეტო სტუდიაში (ხალხური ცეკვების სტუდია იყო შექმნილი ალექსი ალექსიძის მიერ) სწავლობდა. ამ საბალეტო სტუდიაში სწავლობდნენ: ნინო და ილიკო, ვახტანგ ჭაბუკიანი, სოლიკო ვირსალაძე, თამარ ჭაბუკიანი, მარია ბაუერი, ლილი გვარამაძე, მარიკა ლორთქიფანიძე, ილია არბატოვი. მარია პერინის დიდი წვლილი მიუძღვის ამ საბალეტო სტუდიის განვითარებაში, სადაც მთელი თაობები აღიზარდა. სრულიად განსაკუთრებული ადამიანი იყო. მას მოცეკვავეების კოსტიუმებისათვის იტალიიდან ჩამოჰქონდა ქსოვილები და საკუთარი ხელით კერავდა. საქართველოში დიდხანს დარჩა, მაგრამ 1937 წელს, სტალინური რეპრესიების დროს, იგი გააძევეს როგორც უცხოელი. ქალბატონი ნინო ყვებოდა, რომ იტალიაში გასტროლების დროს ეძებდნენ ქალბატონ მარიას, მაგრამ შეიტყვეს, რომ ძალიან მალე ნოსტალგიით გარდაცვლილა.*

„სუხიშვილების“ ანსამბლს, ჩამოყალიბების დღიდან კოსტიუმებს უკერავდა ალექსანდრე ახვლედიანი (თბილისში საშა პარტნოის სახელით იყო ცნობილი). მან განათლება საფრანგეთში მიიღო, შეიძლება ითქვას, ის იყო პირველი მოდელიორი და არაჩვეულებრივი თერძი. რაც შეეხება სოლიკო ვირსალაძეს, გარდა იმისა, რომ ესკიზებს ქმნიდა, აქტიურად მონაწილეობდა კერვის პროცესშიც. თავზე ადგა მლებავებს, რომ ზუსტად აეღოთ ფერი, რომელიც მას სურდა. ცნობილ კოსტიუმზე – „სადარბაზო“, რომელიც მოსკოვის დიდ თეატრშია შეკერილი, თავისი ხელით აქვს გაკეთებული აპლიკაციები და მიმაგრებული მძივები.

აქ გამოფენილი კაბებიდან ოთხი კოსტიუმი ქალბატონმა ნინო სუხიშვილმა გადმოსცა მუზეუმს: მთიულური, ხევსურურული, სადარბაზოს ქალის და მამაკაცის კოსტიუმები, დანარჩენი მისი საკუთრებაა. გამოფენაზე წარმოდგენილი ასევე, ფერწერული ტილოები, ქეთევან მაღალაშვილისა და ცისია შანშიაშვილის მიერ შესრულებული ნინო რამიშვილის პორტრეტები; ექსპოზიციისთვის შერჩეული ფოტომასალა მუზეუმის საკუთრებაა. ნინო რამიშვილის პირადი ნივთები და რამდენიმე ფოტო ქალბატონმა ნინო სუხიშვილმა დაამატა. ფოიეში გამოფენილია საინტერესო ფოტომასალა, რომელთა შორისაა ძველი პლეადის ერთ-ერთი საინტერესო მოცეკვავის თენგიზ ურთმელიძის მიერ გადაღებული ფოტოები.“

დავით არსენიშვილის სახელობის საგამოფენო დარბაზში მართლაც საინტერესო გამოფენაა. ნელნელა მუზეუმი, რომელიც სწორედ ამ ადამიანმა 1927 წელს ჩამოაყალიბა, კეთილი ადამიანების გულისხმიერებით და მხარდაჭერით, აქტიურ ცხოვრებას იწყებს. „სრულიად განსაკუთრებული ადამიანი იყო“, – ასე მოიხსენიებენ მუზეუმის თანამშრომლები ბატონ დავით არსენიშვილს და მის ღვაწლს ამ საინტერესო მუზეუმის შექმნისა და მისი ფონდის შევსების საქმეში. საკუთარი სახსრებით ყიდულობდა წიგნებს, ფოტოებს, ნახატებს და ა.შ. იყო შემოწირულობებიც. შემდეგ ბატონ დავითს, რიგი მიზეზების გამო, ხელი შეუშალეს ამ საქმეში და მოსკოვში გადავიდა, სადაც ანდრეი რუბლიოვის მუზეუმი გახსნა.

ნინო რამიშვილის საიუბილეო გამოფენის გახსნის დღეს დაემთხვა მუზეუმის კიდევ ერთი სიახლე – მუზეუმის ბიბლიოთეკა და რარიტეტულ გამოცემათა ფონდი კომპანია ჯეოსელის მხარდაჭერით, საზოგადოებას განახლებული სახით მოემსახურება. მუზეუმის ბიბლიოთეკას და რარიტეტულ გამოცემათა უნიკალურ ფონდს ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები. ფონდში 3200-მდე ექსპონატია დაცული. ფონდის ძირითადი ნაწილი შედგება წიგნებისგან ქართულ და რუსულ ენებზე თეატრის, კინოს, მუსიკის ქორეოგრაფიის, ხელოვნების, ისტორიისა და რელიგიის შესახებ. ასევე დაცულია უნიკალური მხატვრული ლიტერატურა, ენციკლოპედიები, ლექსიკონები, პიესები, 3000-მდე სანოტო წიგნი, სხვადასხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთები, რარიტეტული გამოშვებები რუსულ და ქართულ ენებზე (რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ – 1887 წ., სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი „სიტყვის კონა“ – 1884 წ., ვალერიან გუნიას „ქართული თეატრი“ – (1878-1889 წ)). ფონდში დაცულია ასევე წიგნები ცნობილი ადამიანების ავტოგრაფებით.

ლელო ჭიჭინაძე: *„მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ნინო რამიშვილის საიუბილეო გამოფენის გახსნასთან ერთად, ამ რამდენიმე დღის წინ, გაიხსნა საბიბლიოთეკო ოთახი, სადაც წარმოდგენილია რარიტეტული ფონდი და ბევრი მნიშვნელოვანი წიგნი. ვინაიდან ნინო რამიშვილის 100 წლის იუბილე იყო, ბიბლიოთეკის დარბაზში გამოფენილია ორი ფერწერული ტილო: ნატალია ფალავანდიშვილისა და ქეთევან მაღალაშვილის მიერ შესრულებული ნინო რამიშვილის პორტრეტები. აღსანიშნავია, რომ ეს ბიბლიოთეკა სრულიად უნიკალურია. მრავალი წლის მანძილზე აგროვებდნენ წიგნებს, მაგალითად, 1733 წელს გამოცემული წიგნები, ქართველიშვილისეული „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემები, კოსტიუმების ისტორიები, რუსული და ქართული თეატრების ისტორიები, მკვლევართათვის ძალიან საინტერესო მასალა. დიდი მადლიერება უნდა გამოვთქვათ ჯეოსელის მიმართ, რადგან მისი მხარდაჭერით გარემონტდა ბიბლიოთეკის დარბაზი, სადაც ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ მკვლევარმა იმუშაოს.*

ჩვენს ბიბლიოთეკაში პიესების არაჩვეულებრივი კოლექციაა. აქ წარმოდგენილი წიგნები მხოლოდ ნაწილია, რადგანაც ეს ფართობი ვერ იტევს ჩვენთან დაცულ ყველა წიგნს. დანარჩენი ჩვენს კუთვნილ ფონდებში საიმედოდაა დაცული – ფოტოფონდი, სახვითი ხელოვნებისა და მემორიალური ნივთების ფონდები. მუზეუმში, ჯერჯერობით, გაკეთდა საგამოფენო დარბაზი, ბიბლიოთეკა და დერეფანი. იმედია, დროთა განმავლობაში, კეთილი ხალხის დახმარებით, კიდევ შევძლებთ დანარჩენი ფართობის გარემონტებას.

აქ სამუშაოდ მოდის ძალიან ბევრი მკვლევარი, როგორც გითხარით, მათთვის ყველანაირი სამუშაო პირობაა შექმნილი. საქართველოში წიგნიერების განვითარებისთვის აუცილებელია მსგავსი სამკითხველოების შექმნა, რაც საზოგადოებაში წიგნის კითხვის მოტივაციას გააძლიერებს. აუცილებლად ამუშავდება საგანმანათლებლო ტიპის პროექტები, თუმცა, ჯერჯერობით, თავს შევიკავებთ წინასწარი გეგმებისაგან, ვიდრე ფართობი არ მოწესრიგდება. ამჟამად მხოლოდ იმით შემოვიფარგლებით, რომ გამოფენის დასათვალიერებლად მოსულ მოზარდებს, ახალგაზრდებს ვუხსნით და ვაწვდით ინფორმაციას არა მხოლოდ კონკრეტულ გამოფენებზე, არამედ ზოგადად, ბევრ სხვა საინტერესო მოვლენებსა თუ ფაქტებზეც. სამომავლოდ კი საგანმანათლებლო პროექტები აქტუალური გახდება ჩვენი მუზეუმისთვის.“

ბიბლიოთეკაში მისულების ყურადღებას აუცილებლად მიიქცევს დადიანებისა და ოლდენბურგების ნივთები, რომლებიც მძიმე მდგომარეობაში იყო და ჯეოსელის დახმარებით ჩაუტარდა რესტავრაცია; განსაკუთრებულ ინტერესს კი ნიკო დადიანის, აგრაფინა ჯაფარიძისა და გრაფ კონსტანტინე ოლდენბურგის პორტრეტები იწვევს – ადამიანების, რომლებიც ამ სასახლეში ცხოვრობდნენ. იქვეა გამოფენილი სანდრო ინაშვილის ტორეადორის კოსტიუმი „კარმენიდან“, რომელიც იტალიაშია შეკერილი,1930 წელს; შამშინოვის ნახატი – მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარი და ის უამრავი წიგნი, რომელიც დაცულია ბიბლითოეკაში – ერთ-ერთი უძველესი წიგნი – „კურთხევანი“– გამოცემულია მოსკოვში 1728 წელს, ხოლო ევროპული წიგნებიდან გერმანულენოვანი „იმპერიების ისტორია“ 1693 წლითაა დათარიღებული

მუზეუმის დერეფანში კი, რომელიც ასევე, ჯეოსელის მხარდაჭერით გარემონტდა, მუზეუმის აფიშების ფონდიდან, სადაც უნიკალური აფიშები ინახება, მუზეუმის სპეციფიკის შესაბამისი – თეატრის, კინოს, პანტომიმის, ცირკის, თოჯინების თეატრის და ა.შ., გამოფენილია „სუხიშვილების“ კონცერტების აფიშები. დამთვალიერებელს აუცილებლად მოხვდება თვალში ურთმელიძის განსაკუთრებული ნახატომით დამშვენებული აფიშა. ასევე, ნინო რამიშვილის ცეკვის ამსახველი ფოტომასალა, მათ შორის ფოტო, რომელზეც აღბეჭდილია ქალბატონი ნინოს ცნობილი ცეკვა „ჯეირანი“ – აღმოსავლურ თქმულებებზე დაყრდნობით დადგმული ცეკვა ველურ ჯეირანზე ნადიროობის სცენიდან. ეს განსაკუთრებული ცეკვაა, რადგან მას გამორჩეული შემსრულებელი ჰყავდა. ნინო რამიშვილის შემდეგ ეს ცეკვა ვერავინ შეასრულა, აკი გითხარით განსაკუთრებული ცეკვაა, განსაკუთრებული შესრულებით. თუმცა, უმჯობესია ამაში თავად დარწმუნდეთ, ეწვიეთ გამორჩეულ გამოფენას – 100 წლის შემდგომაც ლეგენდად დარჩენილი ქართველი ქალბატონის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველ ექსპოზიციას სახელწოდებით „ქართული ქორეოგრაფია“.

ლალი ჯელაძე

მოვიარე საქართველო

„მაინც რა ქვეყანაა ეს საქართველო, რა დევს ასეთი ამ მიწის გულში. დღეს, ხვალ, ზეგ კიდევ რომელი ათასწლეულის ნივთს გამოგვიწვდის ამაყად. ამიტომაც გადავწყვიტე არქეოლოგობა" – აცხადებს XI კლასელი სოფო და თანატოლების მოსაზრებაც აინტერესებს... ვის მწერლობა გადაუწყვეტია, ვის მხატვრობა, რეჟისორობა... ხოლო **მარი სარსევანიძემ** უბრალოდ მოგზაურობა განიზრახა. ჩაიდებს აბგაში ქვეყნის შესწავლის სურვილს და შემოივლის ფეხდაფეხ მთასა და ბარს. ამ სიტყვებით დაიწყო 20 ნოემბერს თბილისის მე-8 საჯარო სკოლაში ჩატარებული ღონისძიება – „მოვიარე საქართველო", რომელიც მიეძღვნა გიორგობის დღესასწაულს და ვარდების რევოლუციის მეექვსე წლისთავს.

სცენაზე აკვანთან ზის ქართველი დედა და „იავნანას" უმღერის თავის პირმშოს. უფროს შვილს კი გაუჩნდა კითხვა ,,დედა, რა არის სამშობლო?" პასუხიც მზად აქვს **მარიამ მაჭარაშვილს**. სამშობლო? ზღვაა, სიყვარულის ზღვა არის, ჯეჯილყანებია, ტყეებია, მზეა, სუნთქვაა, პურია, სამშობლო დედაა. სცენის სიღრმეში ჩანს საქართველოს რუკა, სადაც მეორეკლასელები თავიანთი სურვილით არჩეულ კუთხეს, აფხაზეთს წარმოადგენენ. აფხაზეთი ხომ დღევანდელი დღის, ყველა თაობის ტკივილია.

აფხაზეთი მზიური აჭარის წარმომადგენლებმა შეცვალეს. რა ლამაზად ამბობენ სათქმელს მეორეკლასელი გოგო-ბიჭები, რომლებიც ამაყობენ იმით, რომ სამი საუკუნის მანძილზე ვერ გაათურქეს ქართველობა, ვერ დაათმობინეს ქართული ტრადიციები. დღეს ვარდების რევოლუციის მონაპოვარი, ჩოლოქის აღდგენილი ხიდი და ბევრი სასიკეთო ცვლილება მათ სიხარულს ჰგვრის.

ჩვეული სიმკვირცხლით შემოიჭრა სცენაზე გურული იუმორი. მათ არც გურიის ძველი რუკა და გერბი დავიწყებიათ, არც გურული „მოღობილა". „ახალი გურულები" ჩვეული „კრიმანჭულით" ახალისებს მაყურებელს. იქვეა იმერლები, რაჭველები, ფშავ-ხევსურები, ჩვენი დიდი ტკივილი ქართლი. ეკრანზე ცოცხლდება აგვისტოს მოვლენები, დრბაზში მძიმე სიჩუმემ დაისადგურა და სვანების ომახიანმა „ლილეომ" ისევ გამოაცოცხლა მაყურებელი. მათი იმედიანი განწყობა და გიორგობის დღესასწაულის წინასწარი მილოცვა XI კლასელების მიერ შესრულებულმა „მრავალჟამიერმა" დააგვირგვინა.

გიორგობის დღესასწაული და ვარდების რევოლუციის ექვსი წლისთავი დამსწრე საზოგადოებას მიულოცა სკოლის დირექტორმა **ნინო ყუფარაძემ**. მან განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სიგელი გადასცა რესპუბლიკური სასწავლო შემოქმედებითი ოლიმპიადის გმარჯვებულ XI კლასის მოსწავლეს, **ზურაბ მაჭავარიანს**. მოსწავლეებსა და მშობლებს მადლიერების გრძნობითა და ლამაზი სურვილებით მიმართეს გლდანი-ნაძალადევის გამგებელმა **ნოდარ სანდუხაძემ**, გლდანი-ნაძალადევის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა **რუსუდან ჩხეტიამ**, მუნიციპალიტეტის თავმჯდომარემ, **დავით სამადაშვილმა**.

მე-8 საჯარო სკოლაში გატარებული თბილი საღამო დიდხანს ემახსოვრებათ მოსწავლეებს, მოწვეულ სტუმრებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან, გლდანი-ნაძლადევის რაიონის გამგეობიდან. მათ შორის: **ლერი დემეტრაშვილს, ვახტანგ ცაგარეიშვილს, მურმან თხელიძეს, შოთა ქურდაძეს, ნენო აქუბარდიას, ნინო კავთიევსკაიას, თამარ ჟღენტს** და სხვებს.

I-XII კლასის ხელმძღვანელებთან ერთად, ღონისძიება მოამზადა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა **ნათელა დობორჯგინიძემ**. საინფორმაციო ტექნიკური უზრუნველყოფა ეკუთვნოდა სკოლის საინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯერს **მარინა უხურგუნაშვილს**. ღონისძიებას ამშვენებდა სკოლასთან არსებული ქორეგრაფიულ ანსამბლ „სალხინოს" (ხელმძღვანელები: **ნონა** და **ოლეგ ბაღდავაძეები**) მიერ შესრულებული ცეკვები: „განდაგანა", „რაჭული", „სვანური", „მოხევური"..

მაია გოგავა
ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

ამას ჩვენი დალოცვილი შემოდგომა ჰქვია

„ბუნება გარინდებულია, ირგვლივ სითბო, სიმშვიდე და სიმყუდროვეა. ხეები კვლავ ზურმუხტში არიან გახვეულნი, მაგრამ მწვანე ფონზე მოჩანს აქა-იქ გაბნეული ყვითელი ლაქები. ეს ბუნებაში შემოპარული ჭაღარა შემოდგომის მაუწყებელია. შემოდგომაზე შემორჩენილი ღარიბი ყვავილები სულ უფრო უფერულდებიან. გადახუნებულ ბალახზე ცვივა და ცვივა ჭრელი ფოთლები. ქარი ნელნელა ძარცვავს ხეებს:

„ოჰ, ეს ფოთლები, ფენილი
ქარით
ეს მქუხარე და ნაზი ზმანება
ეს ყვავილები, ეს ცა მითხარით
არავის თქვენგანს არ ენანება."

უჩვეულო სიწყნარეა ირგვლივ. ზამთრისწინა მყუდროება გამეფებულა. აქა-იქ შემორჩენილი გაყვითლებული, უსიცოცხლო ფოთოლი კი სხვა არა არის რა, თუ არა ბუნების სევდანარევი მონატრება წარსული მშვენიერებისა."

ამ სიტყვებით გახსნა ღონისძიება „შემოდგომა ჩვენს სოფელში" ტყიბულის №1 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელთა კათედრის ხელმძღვანელმა, **მანანა მანაგაძემ**. ამ დღეს პატარა მსახიობები მუსიკალური სპექტაკლით „შემოდგომა ჩვენს სოფელში" წარდგნენ მაყურებლის წინაშე.

ქალაქელი ბავშვები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, რეალურად შეიგრძნონ შემოდგომის ხვავი და ბარაქა. სწორედ მუსიკალური სპექტაკლის მთავარ გმირს – პატარა ლიზის სურვილი სიზმრად გადაექცევა და ღვინობისთვეში იმერულ სოფელს ესტუმრება მეგობრებთან ერთად. მონატრებულ შვილიშვილს გულთბილად, იმერული ტრადიციული სუფრითა და სტუმართმოყვარეობით მასპინძლობენ ბებია და ბაბუა. ბავშვები აღტაცებაში მოჰყავს შემოდგომის ბარაქასა და სიუხვეს. სცენაზე შემოდგომის, გოგლასეული სიტყვებით დახატული, ნატურმორტიც გვხვდება: *„გოდრებში ჩაყრილი ვაშლი და კომში სამო სურნელებას გამოსცემდა. ყურძნის ჩხები, აკიდოები, ხახვისა და ნივრის გალები ეკიდა. გოგრის ზვინები,...სუფრაზე დალაგებული ხვავი, რთველის ბარაქა, საზრდელი, ნაშრომი: პური, ღვინო, ხორბალი – სისხლით ნასუქი მიწის ამაგი. ნაჯაფარი,...ნამაშვრალი".*

ბუნების ამ სიუხვეს, დოვლათს მეტ ელფერს ჰმატებდა პატარა მსახიობების სიკეთითა და სიხარულით აღსავსე სახეები, რომლებმაც სული ჩაჰბერეს შემოდგომის ხილს და მუსიკის სამყაროს აზიარეს იმერული სოფლის ცხოვრებისეული ეპიზოდები. ყველასაგან მოულოდნელად მაყურებლის წინაშე თათარაში ამოვლებული ჩურჩხელებიც ჩამოკიდეს ჭიგოზე. ქართული ცეკვები, ფანდური, სალამური, ხალხური ჰანგები, წარსული სული ტრიალებდა შემოდგომის დამათრობელი სურნელით გაჟღენთილ დარბაზში.

უღრმესი მადლობა ამ ღონისძიების ორგანიზატორებს – III კლასის ხელმძღვანელებს: **თამარ მერკვილაძეს** და **ნინო რიჟამაძეს**, სცენარის მუსიკალურ გამფორმებელს – **ელისო დონაძეს** და ნორჩ მსახიობებს ასეთი ლამაზი, სასიამოვნო წუთებისათვის. მათ ცოტა ხნით ბავშვურ სამყაროში დაგვაბრუნეს.

2009 წლის 26 ოქტომბერი – კიდევ ერთი ლამაზი და ნათელი დღე ჩაიწერა დიდი ტრადიციების მქონე ტყიბულის №1 საჯარო სკოლის ისტორიაში.

ნააზრევი

გოეთეს საუბრები ეკერმანთან

1823 წლის 10 ივნისს, 31 წლის პოეტი იოჰან პეტერ ეკერმანი პირველად ესტუმრა ვაიმარელ ბრძენს, 74 წლის იოჰან ვოლფგანგ გოეთეს.

...ეკერმანი ერთგულ მეგობრად მოევლინა მას და ამ გედნიერმა შემთხვევამ კაცობრიობას შემოუნახა სიბრძნის მთელი წიგნი. თუ გოეთეს მართლა ფორტუნა სწყალობდა, ამის ერთ-ერთი გამოხატულებაა ეს შეხვედრა ეკერმანთან, რომელმაც მისი სიყვარული და ნდობა დაიმსახურა, სიცოცხლეში თანამოსაუბრედ და მრჩევლად ჰყავდა, გარდაცვალების წინ კი თხზულებათა რედაქტირება-გამოცემის რთული საქმე მიანდო.

...„გოეთეს საუბრები ეკერმანთან მისი სიცოცხლის ბოლო წლებში“, ან, როგორც ზოგ გამოცემაში უწოდებენ, „ეკერმანის საუბრები გოეთესთან“, იმ გედნიერ წიგნთა რიცხვს ეკუთვნის რომელთა შექმნაც იშვიათად ხდება. ...საუბრებში ხომ ადამიანი უფრო უშუალოდ და გუნებრივად გამოხატავს თავის მოსაზრებებს.

...„საუბრების“ მთავარი ღირსება არის გოეთეს უშუალო, გულწრფელი მოსაზრებების სიუხვე – ლიტერატურაზე, პოლიტიკაზე, ხელოვნებაზე, გამოჩენილ ადამიანებზე, ისტორიულ მოვლენებზე *(შესავალი წერილიდან).*

გთავაზობთ ამონარიდებს წიგნიდან „გოეთეს საუბრები ეკერმანთან“:

საღამო გოეთესთან გავატარე სასიამოვნო საუბარში. მე შევიძინე ინგლისური ბიბლია, რომელსაც სამწუხაროდ აპოკრიფული წიგნები აკლდა. არ შეეტანათ, რადგან არ ითვლება ნამდვილად და ზეგარდმო შთაგონებულად. ამრიგად, დამაკლდა უკეთილშობილესი ტომი, ქველმოქმედების ნიმუში, შემდეგ სიბრძნე სოლომონისა და ისუ ზირაქი – ეს დიდი ზნეობრივი და სულიერი სიმაღლის წიგნები, რომელთაც სხვები ვერც შეედრებიან. მე გოეთესთან საუბარში გამოვთქვი ჩემი გულისწყრომა იმის გამო, რომ ძველი აღთქმის ზოგიერთი წიგნი ღვთივშთაგონებულად ითვლება, ზოგიც არა, თითქოს ყოველი კეთილშობილი და დიადი უთუოდ ღმერთისგან უნდა მომდინარეობდეს და მისი ზეგავლენის ნაყოფი იყოს.

– მეც ზუსტად თქვენი აზრისა ვარ, – მიპასუხა გოეთემ – მაგრამ ბიბლიის წიგნებთან დაკავშირებით ორი მთავარი თვალსაზრისი არსებობს. ეთრის მოზიარენი მასში ხედავენ პირველქმნილ რელიგიას, რომელიც ქადაგებს ბუნებასა და გონებას მათი პირვანდელი შეურყვნელი სახით, რაც ღმერთმა შექმნა. ეს თვალსაზრისი იცოცხლებს მარად და თავისი წონაც ექნება, ვიდრე ქვეყნად უზენაესის პირმშო – ადამიანი არსებობს. მაგრამ ესაა მხოლოდ რჩეულთა თვალსაზრისი, მეტად ამაღელვებელი და კეთილშობილური, რომ საყოველთაო გახდეს. შემდეგ არსებობს კიდევ ეკლესიის თვალსაზრისი, უფრო ადამიანური ხასიათისა, მაგრამ ის არაა მტკიცე და მდგრადი, სუსტია და ცვალებადი. ამის მიუხედავად, ისიც იარსებებს, არ დაიშრიტება თავის მარადიულ ცვალებადობაში, ვიდრე ადამიანები სუსტნი და უსუსურნი არიან. ღვთაებრივი გამოცხადების აუმღვრეველი შუქი მეტისმეტად სუფთა და მოელვარეა, მეტისმეტად თვალისმომჭრელია, რომ საბრალო სუსტმა ადამიანებმა აიტანონ. აქ ეკლესია გამოდის როგორც ქველმოქმედი შუამავალი, რომელიც არბილებს და აზომიერებს ყოველივეს, რათა ყველას დაეხმაროს და არგოს მრავალზე მრავალს. ქრისტიანული ეკლესია თავისი მტკიცე რწმენით რომ ქრისტეს მემკვიდრეა და ადამიანებს ცოდვების ტვირთისაგან ათავისუფლებს, დიდ ძალას წარმოადგენს. ამ ძალის შენარჩუნება, ამით ეკლესიის შენობის განმტკიცება ქრისტიანული ქურუმობის მთავარი საზრუნავია.

ამიტომ არც თუ ისე დიდ მნიშვნელობას აძლევს საკითხებს ბიბლიის ესა თუ ის წიგნი რამდენად უწყობს ხელს ხალხის განათლებას, რამდენად უზრუნველყოფს ადამიანს ბუნებაზე ზნეობრივი და კეთილშობილური ზეგავლენის მოხდენას, სამაგიეროდ გამორჩეულ მნიშვნელობას აძლევს მოსეს წიგნებს, ცოდვის კითხვას, მხსნელის მოვლინების საჭიროებას, შემდეგ კიდევ წინასწარმეტყველთა ნაანდერძევს, რაშიაც მესიის მოვლინება კიდევ უფრო მკვეთრადაა ხაზგასმული, განსაკუთრებით კი სახარებებს, რომლებშიაც მოთხრობილია ქრისტეს გამოცხადება, წამება და ჯვარცმა, რითაც თითქოს კაცთა შეცოდება გამოისყიდა. ახლა თქვენ შეგიძლიათ განსაჯოთ, რომ ასეთი მიზნებისათვის, ასეთი მიმართულებებისათვის, თანაც ასეთ სასწორზე აწონილი ამბები კეთილშობილ ტობიასი, სოლომონის სიბრძნე და ვერც ზირაქის სიბრძნე ვერ შეიძენდნენ დიდ წონას.

საერთოდ კი საოცარი კითხვებია, ნამდვილია თუ არანამდვილი ბიბლიის ცალკეული წიგნები. რა უნდა იყოს იმაზე უფრო ნამდვილი და საოცარი, რასაც წარმოადგენს სრულყოფილი მშვენიერება, უსპეტაკეს ბუნებასა და გონებასთან რომ სრულ ჰარმონიას ქმნის, დღემდე რომ ჩვენს უზენაეს განვითარებას ემსახურება! ან რა უნდა იყოს ქვეყნად უფრო არანამდვილი, ვიდრე აბსურდი, სიცარიელე და სისულელე, რაც არ ქმნის ხელოვნებას, არ იღებს ნაყოფს და ყოველ შემთხვევაში კარგს არას გვაძლევს! ოთხსავე სახარებას ნამდვილად ვრაცხ, რამეთუ მიმაჩნია, მაინც უმაღლესობის გამოსხივებად, რაც ქრისტეს პიროვნებიდან გამომდინარეობს; უზენაესი სულიერი ძალისხმევის პირმშოა და იმდენად ღვთაებრივი ხასიათისა, რამდენადაც საერთოდ დედამიწაზე რაიმე ყოფილა. თუ ვინმე მკითხავს, შეგიძლია თუ არა მის წინაშე კრძალვით მუხლი მოიყაროო, ვეტყვი: სავსებით! მე მუხლს ვიყრი მის წინაშე, როგორც თავისთავად ზნეობის უზენაესი პრინციპის გამოცხადების წინაშე. თუ ვინმე მკითხავს, არისო თუ არა შენს ბუნებაში მზის თაყვანისცემა, ვუპასუხებ: სავსებით და უდავოდ! რამეთუ ესეცაა უზენაესის თავისებური გამოცხადება, ყოველ სხვა არსზე ძლიერი და დიადი, რაიც მიწის შვილებს მოგვევლინა შუქის სახით. მე მზეში თაყვანსა ვცემ შუქს და უზენაესის შემოქმედ ძალას, რომლის წყალობითაც სიცოცხლე გვენიჭება და ჩვენთან ერთად ყველა მცენარესა თუ ცხოველს. ხოლო თუ მკითხავენ, გაქვსო თუ არა სურვილი ემთხვიო პეტრე მოციქულის ან პავლეს თითის ძვალს, მე ვეტყვი: მომაშორეთ და დამიხსენით ასეთი აბსურდისაგან-თქო!

„სულსა ნუ დაივიწყებ!“ – თქვა მოციქულმა...

...საუბარი გადავიდა გამოჩენილ ადამიანებზე, რომელთაც ქრისტემდე უცხოვრიათ – ჩინელთა, ინდოელთა, სპარსელთა, ბერძენთა შორის, რომელთაც ღვთაებრივი საწყისი არანაკლები ძალით ჰქონიათ, ვიდრე ძველი აღთქმის დიდ ებრაელებს. აქედან წამოიჭრა საკითხი, როგორ არის ღვთაებრივი ძალის გამოვლინება იმ დიდ ადამიანებში, რომლებიც ჩვენს დროში ცხოვრობენ.

თუ ადამიანებს ვერწმუნებით, – თქვა გოეთემ, – კაცმა უნდა დაიჯეროს, რომ ღმერთი ძველადვე თავის მყუდრო სავანეში წავიდა, ადამიანები სავსებით თავიანთი თავის ანაბარა არიან მიტოვებული, საკუთარ ფეხზე დგანან და თავიანთი საქმეებიც თვითონ უნდა განაგონ, უხილავი ღმერთის მუდმივი ზედამხედველობის ქვეშ. სარწმუნოებისა და ზნეობის საქმეებში ღმერთის ჩარევა, ეტყობა, ჯერ კიდევ დასაშვებია, ხელოვნებასა და მეცნიერებაში კი – არავითარი: ეს ხომ მიწიერი, წმინდა ადამიანური ძალმოსილების ნაყოფია!

მაგრამ ერთი სცადოს ვინმემ და ადამიანის ძალმოსილებით ახსნას ისეთი მოვლენები, რომელთა უკანაც დგანან რაფაელი, მოცარტი, შექსპირი! ბრწყინვალედ ვიცი, რომ ამ სამი უკვდავის გარდა ხელოვნებაში იყვნენ სხვა გენიალური ადამიანებიც, რომელთაც არანაკლებ დიდებული ქმნილებები დატოვეს. არა, ნიჭის სიდიადით იმ სამ ხსენებულს არ ჩამოუვარდებოდნენ, ჩვეულებრივ ადამიანთა ბუნებას დიდად აღემატნენ და იყვნენ ისევე ღვთაებრივი ნიჭით შთაგონებულნი, როგორც ის სამი.

ანდა, საერთოდ, რასა ვხედავთ ყველგან ყოველთვის! რას უნდა ნიშნავდეს ასეთი რამ! – ჩანს, ღმერთს იმ შექმნათა ცნობილი ექვსი დღის შემდეგ, სულაც არ აუღია ხელი თავის საქმიანობაზე. პირიქით, ისეთივე დაუცხრომელია, როგორც შექმნათა პირველ დღეს იყო. უმარტივესი მასალისაგან ამ ტლანქი ქვეყნიერების შექმნა და დაძვრა, რომ წლიდან წლამდე მზის სხივებზე იტრიალოს, არა მგონია, ძლიერ სახალისო საქმედ ჩაეთვალა, რომ ამ მატერიალურ ნიადაგზე სულთა დიდი სანერგე ბაღის შექმნაც არ ჰქონოდა ჩაფიქრებული. ჰოდა, ეს მსოფლიო სული დღემდე ბინადრობს ამაღლებულ ადამიანთა ბუნებაში, რათა ჩვეულებრივნიც თავის დონეზე აამაღლონ.

გოეთე დადუმდა, მე კი გულში შემოვინახე მისი კეთილი და დიადი სიტყვები.

რამდენიმე დღის შემდეგ

ჩვენ ვლაპარაკობდით ბრძენთა ბედისწერის იდეაზე.

ამნაირი რამ, – თქვა გოეთემ, – ჩვენი ახლანდელი აზრთა მსვლელობისათვის უკვე შეუფერებელია, მოძველებულია და ჩვენს რელიგიურ წარმოდგენებს სრულიად ეწინააღმდეგება. დღევანდელმა პოეტმა რომ ის ძველი მასალა პიესად დაწეროს თეატრისათვის, სულ რაღაც აფექტაციაზე იქნება აგებული. ეს იქნება სამოსი, რომელიც დიდი ხანია მოდაში აღარაა და ისევე აღარ მოგვიხდებოდა, როგორც რომაული ტოგა.

ჩვენ, ახალი დროის ადამიანები, ნაპოლეონთან ერთად უკეთ ვლაპარაკობთ: პოლიტიკა ბედისწერაა. ოღონდ მოვერიდოთ ჩვენს ლიტერატორებთან იმის თქმას, რომ პოლიტიკა არის პოეზია, ან პოეტებისათვის ისაა გასართობი რამ საგანი. ინგლისელმა პოეტმა თომსონმა ძალიან კარგი ლექსი დაწერა წლის დროებაზე, მაგრამ ცუდი ლექსი – თავისუფლებაზე, და პოეტში პოეზიის ნაკლებობის გამო კი არა, არამედ საგანში პოეზიის ნაკლებობის გამო.

თუ პოეტი პოლიტიკაში გარევას მოიწადინებს, ის რომელიმე პარტიაში უნდა შევიდეს, მაშინ ის დაკარგულია, როგორც პოეტი. მაშინ ის უნდა დაემშვიდობოს თავის თავისუფალ სულს, მიუკერძოებელ თვალსაზრისს და დაიხუროს რაღაც სიჩლუნგის, სხვათა მიმართ ბრმა სიძულვილის ჩაჩი.

პოეტს, როგორც ადამიანს და მოქალაქეს, თავისი სამშობლო უნდა უყვარდეს, მაგრამ მისი პოეტური ძალების სამშობლო, მისი პოეტური შემოქმედების მამული გახლავთ სიკეთე, კეთილშობილება და მშვენიერება, რომელიც არც ერთ სხვა განსაკუთრებულ პროვინციას, არც ერთ გამორჩეულ სამეფოს არ უკავშირდება, და სადაც პოულობს, იქ აიტაცებს, იქ ადიდებს. ის ემსგავსება არწივს, რომელიც მაღლიდან ზვერავს მთელ ქვეყნებს, და მისთვის სულერთია, საით გარბის კურდღელი, რომლის შესაპყრობადაც ძირს დაექანება – პრუსიის თუ საქსონიის მხარეს.

მერე, რას ნიშნავს სამშობლოს სიყვარული, რას ნიშნავს პატრიოტული მოღვაწეობა? თუ პოეტი მთელი სიცოცხლის განმავლობაში ცდილობდა, მავნე ცრუ რწმენები დაეძლია, სიხარბე დაეგმო და დაეთრგუნა, თავისი ხალხის გემოვნება გაეწმინდა, გემოვნება დაეხვეწა, მისი ფიქრი და მისწრაფებანი გაეკეთილშობილებინა, – რა უნდა გაეკეთებინა ამაზე უკეთესი? როგორ უნდა წარმართულიყო მისი პატრიოტული მოღვაწეობა ამაზე უფრო სწორად და კარგად? პოეტს რომ აქ შეუფერებელი და უმადური საქმიანობა შევთავაზოთ, ეს იგივე იქნებოდა, რომ ბატალიონის უფროსს მოეთხოვოს, ნამდვილი პატრიოტობა თუ გინდა, პოლიტიკურ განახლებებში გაიხლართე და უშუალო მოვალეობა დაივიწყეო, სამშობლო მისთვის არის მისი ბატალიონი, სამხედრო ნაწილი, და ის სანაქებო პატრიოტი მაშინ იქნება, თუ პოლიტიკაში არ გაერევა, რამდენადაც არ ეხება, და პირიქით, მთელ თავის ჭკუა-გონებას, ზრუნვას წარმართავს მისდამი დაქვემდებარებული ნაწილისადმი, კარგად გაწვრთნის, მოაწესრიგებს, რათა საჭირო შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფოს საფრთხე დაემუქრება, ღირსეული მეომრები გამოიყვანოს.

მე მძაგს ყოველგვარი სიყალბე, მეტადრე სიყალბე და ზერელობა სახელმწიფო საქმეში, სადაც მოუწესრიგებელი საქმეებისაგან ათასებსა და მილიონებს მხოლოდ უბედურება მოელით.

თქვენ იცით, საერთოდ ნაკლებად ვდარდობ იმისათვის, თუ რას დაწერენ ჩემზე, მაგრამ წუხილით ვისმენ და ვიცი კიდევაც, რაოდენ მწარედაც წარიმართა ჩემი ცხოვრება, რაოდენ უპატივცემულოდაც რჩება მთელი ჩემი საქმიანობა ზოგიერთების თვალში, მხოლოდ იმისათვის, რომ ამა თუ იმ ჯგუფს არ მივეკედლე და პარტიული ბრძოლის წეწვაში არ გავერიე. ასეთი კრიტიკანული მსაჯულების აზრით, კარგი ვიქნებოდი, თუ რომელიმე იაკობინური პარტიის რიგებში შევიდოდი, სიკვდილსა და სისხლისღვრას ვიქადაგებდი! – მაგრამ მოდით, მოვრჩეთ, სიტყვაც ღარ დავძრათ ამ ხენეშ საგანზე, რათა მეც უგუნური არ გავხდე უგუნურობასთან ბრძოლაში.

„მიეცით ნიჭსა გზა ფართო“

ცაგერის რაიონის ორბელის საჯარო სკოლის ცხოვრებას კიდევ ერთი ლამაზი დღე შეემატა. 16 ნოემბერს სკოლაში მოეწყო გამოფენა „მიეცით ნიჭსა გზა ფართო“. გამოფენის მიზანი იყო მოსწავლეების მიერ შესრულებული ნახატების წარდგენა მასწავლებლების, მშობლებისა და მოსწავლეებისადმი. ყველას ყურადღებას იპყრობდა რამდენიმე ნახატი, რომელიც შავ-თეთრ ფერებში იყო შესრულებული. ამ ნახატების ავტორები X კლასის მოსწავლეები – **ნიკა მეგრელი** და **თემურ მეგრელი** არიან. ხატვა მათი საყვარელი საქმეა. გადავწყვიტეთ გაზეთის საშუალებით გავაცნოთ მათ თანატოლებს თემურისა და ნიკას ნამუშევრები. კიდევ ერთხელ ვუსურვებ მათ წარმატებებს და შემოქმედების დიდი ნიჭის გამოვლენას.

ნინო გურჯალიანი
ორბელის საჯარო სკოლის დირექტორი







სპორტი

მერებაშვილმა ანტალიაშიც გაიელვა

თითო ოქროსა და ბრინჯაოს მედლით დაასრულა გამოსვლა საქართველოს 23-წლამდე ძიუდოისტ ვაჟთა ნაკრებმა ანტალიაში, თანატოლთა ევროპის პირველობაზე. ისე მოხდა, რომ ამ ნაკრებში ძირითადად 20-წლამდელთა ნაკრების წევრები შევიდნენ და ჩემპიონიც 19 წლის გორელი **პაატა მერებაშვილი** (60) გახდა. მესამე ადგილზეც გორელი, 21 წლის **ზვიად ბაზანდარაშვილი** (73) გავიდა.

მერებაშვილი ამ თაობის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულად ნიჭიერი წარმომადგენელია, რისი დასტურიც ამ სეზონში მოპოვებული ორი ევროპული ოქროა – სექტემბერში კონტინენტის ჩემპიონი 20-იანებშიც გახდა. მან ანტალიაშიც დამაჯერებლად და ძალზე კარგად იჭიდავა. ბუნებრივია, გამარჯვება იოლად არ მოსულა. მით უფრო, ჩვენებურს რამდენიმე წლით უფროსებთან უწევდა ჭიდაობა და რამდენიმე ურთულესი ორთაბრძოლაც გადაიტანა, მაგრამ ყველგან მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. ალბათ, ყველაზე უფრო რთული მაინც მეორე წრეში გამართული შეხვედრა იყო იტალიელ **ელიო ვერდესთან**. იგი ჩვენებურზე სამი წლით უფროსია. თანაც ამ წონაში იტალიის ნაკრების ლიდერია და უფროსთა ტურნირებშიც დიდი გამოცდილება დააგროვა, ეს ყველაფერი კი აგვისტოში მსოფლიოს პირველობაზე ბრინჯაოს მედლის მოპოვებით დააგვირგვინა. აღსანიშნავია, რომ იმ ბრინჯაოსთვის ბრძოლაში ოლიმპიადისა და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **ნესტორ ხერგიანი** დაგვიმარცხა. აი, ასეთ ძლიერ მეტოქეს მერებაშვილმა დამატებით დროში გაფრთხილებით აჯობა. არანაკლებ დრამატული აღმოჩნდა შეხვედრა სლოვენიელ **მატიას ტრბოვცთან**, რომელსაც დამთავრებამდე 25 წამით ადრე იუკოს უგებდა. ამ შეხვედრის ყველაზე დრამატული მომენტებიც ამ დარჩენილ წუთის მეოთხედში დატრიალდა. ორთაბრძოლის დასრულების შემდეგ მერებაშვილმაც აღიარა, რომ გამარჯვება ნაადრევად ირწმუნა და ცოტა მოდუნდა, რითაც უმალ ისარგებლა მეტოქემ და ვაზარი აართვა. ასეთ დროს ბევრი გამოცდილი ფალავანი შედრკებოდა და გატყდებოდა, არათუ ახალგაზრდა, მაგრამ მერებაშვილი სწორედ გამონაკლისთა შორის აღმოჩნდა და დარჩენილ დროში ტრბოვცი იპონით დაამარცხა. ალბათ, წაგების შიშმა იმოქმედა და იმიტომ შევძელი ესო, იხუმრა ჩვენებურმა და დაამატა, რომ ის ილეთი – ბრუნი, რომლითაც მეტოქე ბეჭებზე დააგდო, ადრე არასოდეს გაუკეთებია. საკმაოდ რთული გამოდგა ნახევარფინალიც ფრანგ **ჟულიენ ოტავიანთან** – ორივემ თითო ვაზარი გააკეთა, მაგრამ მერებაშვილმა „მამალს“ იუკოც აართვა. ფინალში თანაქალაქელი და მეგობარი, მასზე ერთი წლით უფროსი **რობერტ მშვიდობაძე** შეხვდა, რომელიც მესამე სეზონია, რუსეთის ღირსებას იცავს. ისინი კარგად იცნობენ ერთმანეთს და მერებაშვილი ადრეც ცოტათი სჯობდა მეგობარს. ახლაც საკმაოდ იოლად მოუგო წმინდა გდებით და სეზონში მორიგი წარმატება მოიპოვა. ერთადერთი შეხვედრა, რომელშიც მერებაშვილმა იოლად გაიმარჯვა, სულ პირველ წრეში მოპოვებული წმინდა მოგებაა ლატვიელ **ვიქტორს გრიშინსთან**. მერებაშვილმა კიდევ ერთხელ დაუმტკიცა ყველას, ამ წონას ძალზე ნიჭიერი ლიდერი რომ ეზრდება.

ბაზანდარაშვილი 20-წლიანებში ევროპის 2007 წლის ვიცე-ჩემპიონია, მაგრამ მერე ტრავმა მიიღო და შარშანდელი სეზონი მთლიანად გაუცდა. ის ანტალიაში რიხიანად დაუბრუნდა ტატამს – 5 ორთაბრძოლიდან მხოლოდ ერთში დამარცხდა, დანარჩენები კი წმინდად მოიგო. ბაზანდარაშვილი ნახევარფინალში მომავალ ჩემპიონთან, ფრანგ **უგო ლეგრანდთან** დამარცხდა, რომელიც მასზე უფროსიცაა, ბევრად გამოცდილიც და მსოფლიოს ძიუდოს ახალ ვარსკვლავადაც მიიჩნევენ – შარშან ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონიც გახდა და მსოფლიოსიც. სამაგიეროდ, ბაზანდარაშვილმა სხვებს მისხალიც კი არაფერი დაუთმო და დამსახურებულად ავიდა კვარცხლბეკზე.

ახალგაზრდა ბატუტისტის წარმატება

სანკტ პეტერბურგში დამთავრებულ ბატუტისტთა მსოფლიოს ჩემპიონატში საქართველოს ეროვნული ნაკრები, სამწუხაროდ, წარუმატებლად გამოვიდა, თუმცა გაგვახარეს ახალგაზრდებმა. თუმცა ჩვენების ახალგაზრდებად და უფროსებად დაყოფა ძალზე პირობითია, რადგან ეროვნულ ნაკრებშიც კი ასაკით ახლაგაზრდა სპორტსმენები შედიოდნენ. მათ შორის 17 წლის ლუბა გოლოვინაც იყო, რომელიც პეკინის ოლიმპიადაზე ბატუტისტთა ტურნირის ყველაზე უმცროსი მონაწილეც იყო, თუმცა ურიგოდ არ გამოსულა და მეოთხე ადგილზე გავიდა. ამჯერად წარმატებით ვერ გაგვახარა, სამაგიეროდ, 11-12 წლიანთა ტურნირში იყოჩაღა **ანა ოდიშვილმა** და მსოფლიოს პირველობის ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ამავე ასაკში ფინალში კიდევ ერთი ჩვენებური **თეონა ჯანჯღავა** შევიდა მეექვსე შედეგით, მაგრამ მერე შეცდა და საბოლოოდ მერვე ადგილზე დარჩა.

ჭანტურიას პირველი გოლი ბარსელონაში

გრძელდება **გიორგი ჭანტურიას** წარმატებული კარიერა ესპანურ „ბარსელონაში“ – წინა კვირას ერთი შეხვედრა ძირითად გუნდში ჩაატარა. მართალია, ეს ამხანაგური მატჩი იყო, მაგრამ თუნდაც ამ სტატუსით ძირითად გუნდში გამოსვლა და **ბოიან კრკიჩის**, **რაფაელ მარკესის**, **გაბრიელ მილიტოს**, **სალიდუ კეიტას** და ამ დონის ვარსკვლავთა გვერდით თამაში საამაყოა. ამ შეხვედრაში „ბარსელონა“ ბოლივიის ჩემპიონ „ბოლივარს“ შეხვდა და 4:1 მოუგო, ჭანტურიამ კი მთავარ გუნდში პირადი ანგარიში გახსნა და მესამე გოლიც გაიტანა, თანაც, ძალზე საინტერესო ვითარებაში.

ამ შეხვედრისთვის „ბარსელონას“ თავკაცმა **ხოსეპ გვარდიოლამ** „ბარსა ხუვენილიდან“, ანუ იქაური ასაკობრივი კლუბიდან, ჭანტურია და კიდევ ორი ფეხბურთელი მიიწვია. მწვრთნელმა ჩვენებური მეორე ტაიმში შეუშვა მოედანზე, რომელმაც მალე ჩინებული სოლო რეიდი წამოიწყო – მეტოქის მოედანი ბურთიანად გაიარა და გზად ყველა მცველი ჩამოიცილა. საჯარიმოში უკვე ორი ბოლივიელის გარემოცვაში აღმოჩნდა, მაგრამ არც იქ შედრკა და მამისტოლა ხალხს მოხერხებული ფინტებით მანამდე აბითურებდა, ვიდრე ერთმა მათგანმა არ მოცელა და მსაჯმაც უყოყმანოდ დანიშნა პენალტი. ბურთი ესპანელთა ხორვატმა თავდამსხმელმა კრკიჩმა აიღო და პენალტის ნიშნულისკენ გაემართა. აი, სწორედ აქ მოხდა ჩვენთვის საინტერესო რამ! 16 წლის ჭანტურიას ეყო გამბედაობა, კადნიერება თუ სითამამე (რაც გინდათ, ის დაარქვით), ხორვატიის ნაკრების ლიდერს ბურთი წაართვა და თვითონ გაემართა პენალტის დასარტყმელად. ისიც ზუსტად შეასრულა და ანგარიში 3:0 გახადა. *„კრკიჩმა რომ ბურთს დასტაცა ხელი და პენალტის დარტყმა მოინდომა, კინაღამ გავგიჟდი. პენალტი მე მოვიპოვე, საჯარიმოში ორ მცველს ვეთამაშებოდი, როცა წამაქციეს და სხვას რატომ უნდა დაერტყა! „ბარსელონას“ შემადგენლობაში გოლის გატანის შანსი მომეცა და ამას ხელიდან ვერ გავუშვებდი. ამიტომაც წავართვი ბურთი, დავარტყი და გავიტანე კიდეც“* – ასე ახსნა თავისი საქციელი ქართველმა. ნამატჩევს ჭანტურია გვარდიოლამაც შეაქო – მხარზე ხელი დაარტყა და გულმოდგინე გარჯა მოუწონა.

რუბრიკას უძღვება
ირაკლი თავაძე

ჟურნალ „ახალი განათლება“
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტეტელაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com, ganatleba@mail.ru
რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.

რედაქციის რეკვიზიტები:
საქართველოს ბანკი
ბ/კ 220101502,
ს/კ 202058735,
ა/ა 123631000

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.